www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ორშაბათი, 15 სექტემბერი, 2003 წელი. №246 (458)

ფასი 30 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

## გახმაურებული კონფლიქტი გაუხმაურებელი დოკუმენტების გამო

*საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა და დევნილთა შორის ურთიერთობა დღითიდღე იძაბება. ამ პრობლემის გამწვავებას თავის დროზე ხელისუფლების უმოქმედობამ და დაუფიქრებლობამ შეუწყო ხელი. გასულ კვირას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დამცველი ასოციაციის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე დევნილთა მიერ უკანონოდ დაკავებულ კოოპერატიულ დაუმთავრებელ შენობებს შორის დასახელდა ვარკეთილის ზემო პლატოს მეორე მიკრორაიონში მდებარე მე-18 და მე-19 კორპუსებიც. დევნილები ასოციაციას არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებენ და ირწმუნებიან, რომ სამი წლის წინათ, როცა მათ ეს კორპუსები დაიკავეს, ქალაქის მერია საქმის კურსში იყო და ეს არ გაუპროტესტებია.*

ნანა ქადაგიშვილი

აღნიშნული კორპუსების მშენებლობა 1989 წელს დაწყებულა. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დამცველი ასოციაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, თბილისის მაშინდელი 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, ჩამოყალიბდა №634 და №635 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, რომელთაც ვარკეთილის ზემო პლატოს მეორე მიკრორაიონში №18 და №19 კორპუსები უნდა აეშენებინა. ორივე კოოპერატივში 64-64 მეპაიე შეიყვანეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დღეს, ღამის 11 საათზე

### არ გამოტოვოთ "ღამის კურიერი" განახლებული ფორმატით

თამარ სუხიშვილი

"რუსთავი 2-ის" ახალი პროექტები თანდათანობით ჩნდება ტელეეკრანზე. 12 სექტემბერს წარმატებულად ჩაიარა დათო გოგიჩაიშვილის "ღამის შოუს" პრემიერამ, დღეს კი მაყურებელი "ღამის კურიერს" იხილავს განახლებული ფორმატით.

"ღამის კურიერი", რომელსაც კვლავინდებურად ეკა ხოფერია გაუძღვება, არაერთ სიურპრიზს შესთავაზებს მაყურებელს: ახალი სტუდია, ახალი თემები, შინაარსობრივი მრავალფეროვნება, ინტერაქტივი, ინტენსიური ჩართვები, მაყურებლის აზრი, დარბაზი - მოკლედ, სრული დინამიკა, რომელიც ტელემაყურებელს ეკრანთან წამიერი ჩათვლემის საშუალებასაც არ მისცემს. მთავარია, ელექტროენერგია გვქონდეს.

"ბევრი სატელევიზიო სტუდია მინახავს, ჩვენთანაც, უცხოეთშიც, მაგრამ ამაზე უკეთესი, მე მგონი, არცერთი არ ყოფილა", - გვითხრა "რუსთავი 2-ის" ერთმა თანამშრომელმა, ახალ სტუდიას რომ ვათვალიერებდით. უფრო დაწვრილებით კი ამ სტუდიის სპეციფიკაზე მთავარი პროდიუსერი გიორგი ხაბურზანია გვესაუბრა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ეკა ხოფერია: "ფაქტია, რომ 15 სექტემბერს ეთერში ვარ"

## ჰეიდარ ჯემალი: „აფხაზეთი კრემლი-ვაშინგტონის კავშირის ერთ-ერთი ღერძია"

*"24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის ისლამური კომიტეტის თავმჯდომარე ჰეიდარ ჯემალი კავკასიის პრობლემებზე და საქართველო-ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების მომავალზე საუბრობს. პასუხს იძლევა კითხვებზე, თუ რა როლია განკუთვნილი ამ რთულ გეოპოლიტიკურ სამკუთხედში საქართველოსათვის? ჩვენს შეკითხვებს ჰეიდარ ჯემალი თავისებურ რეკომენდაციებს ურთავს იმის შესახებ, თუ განვითარების როგორი გზაა მისაღები ევრაზიის გზაჯვარედინზე მყოფი რესპუბლიკისათვის, რომელიც დღეს, ექსპერტის თვალსაზრისით, ქართველი ერისათვის დამღუპველ კურსს ირჩევს.*

რუსუდან ნიკურაძე
*მოსკოვიდან*

**ჰეიდარ ჯემალი:** მითოლოგიასა და კავკასიელი ხალხის ისტორიაში კავკასია მამაკაცური საწყისის სიმბოლოა, ამიტომაც იგი დღემდე რჩება ვაჟკაცობის ხატად. ჩრდილოეთკავკასიელები მეომარი ხალხების ნაერთია, სამხრეთ კავკასია კი ამ საკითხში მოიკოჭლებს - ეს ტერიტორია, ხალხთა კონსოლიდაციის თვალსაზრისით, უფრო რთული და დაქსაქსულია, ამიტომაც წინააღმდეგობის გაწევას ნაკლებად ცდილობენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ევროპის სამგზის ჩემპიონი - ლიტვა!

**ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. ფინალი**

**ლიტვა – ესპანეთი 93:84**

გუშინდელ დღემდე ლიტვის ნაკრები ევროპის ორგზის ჩემპიონი იყო. ეს ტიტულები კი ბალტიისპირელებმა შორეულ 1937 და 1939 წლებში მოიპოვეს. მას შემდეგ უდიდესი საკალათბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნის ეროვნული ნაკრები დიდი გამარჯვებების მიღმა რჩებოდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ეს მსაჯების "დამსახურებითაც" ხდებოდა. ლიტვის ნაკრებმა, რომელიც სტოკჰოლმში ანტანას შირეიკას ხელმძღვანელობით გაემგზავრა, ფინალისაკენ გზაზე გერმანიის, საფრანგეთის და ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონების, იუგოსლაველების გუნდები გამოთიშა ასპარეზობას.

გაგრძელება A5 გვერდზე



REUTERS

ესპანელებმა ლიტვური ბარიერი ვერ გადალახეს.

## დიდი ხუთეული შეთანხმების მიღწევას ცდილობს

მსოფლიოს ხუთი უძლიერესი ქვეყნის შეხვედრა, რომელიც ჟენევაში გაიმართა და ერაყის პრობლემას ეძღვნებოდა, უშედეგოდ დასრულდა. ტრადიციული ოპონენტები, აშშ და საფრანგეთი სრულიად განსხვავებული აზრის არიან იმის შესახებ, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ერაყში ხელისუფლება. აშშ-მ, საფრანგეთმა, ინგლისმა, ჩინეთმა და რუსეთმა ერთ საკითხზე მაინც შეძლეს შეთანხმების მიღწევა: ისინი უშიშროების საბჭოზე ახალი რეზოლუციის მისაღებად ითანამშრომლებენ.

"კონსენსუსის მიღწევა აუცილებელი და შესაძლებელია," – განაცხადა კოფი ანანმა. ჟენევის შეხვედრა სწორედ მისი თხოვნით მოიწვიეს. "მაგრამ, კონსენსუსი არ არის საკმარისი. ჩვენ გვჭირდება სამართლიანი და მკაფიო რეზოლუცია, რომელიც ხელ-ფეხს გაგვიხსნის მოქმედებისათვის და რომელსაც თავად ერაყელი ხალხი დაუჭერს მხარს," – დასძინა მან.

გაგრძელება A2 გვერდზე

REUTERS

## გურჯაანში ფიროსმანის ნახატები ნადგურდება

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, ნუნუ კარდენახიშვილი ნიკო ფიროსმანის ნახატების გადასარჩენად დახმარებას ითხოვს. ნიკალას ნახატები, ერთ დროს სოფლის დუქანში, ამჟამად კი გაბიტაშვილების საცხოვრებელი ბინის თივის სათავსოში ნადგურდება.*

ნიკო ფიროსმანიშვილის ცხოვრების დაწერა ისევე ძნელია, როგორც იმ ძველი ოსტატების ბიოგრაფიებისა, რომლებმაც საქართველო აავსეს თავიანთი ღვაწლით. ყველაფერი, რაც ფიროსმანს ეხება ბურუსითაა მოცული. ველისციხელებმა კი, ამჟერად, ნიკალას შემოქმედება აღმოაჩინეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## მთავრობის სოციალური პოლიტიკის შეფასებას აზრი არ აქვს

15 სექტემბრისათვის ჯერ კიდევ დადგენილი არაა სოციალური ფონდის ხარჯების ცხრა თვის გეგმა და ფონდი ისევ რვა თვის გეგმების შესაბამისად მუშაობს. თუმცა, რვა თვის ხარჯების გეგმაც ჯერ შორსაა შესრულებისაგან.

A3

## სახალხო ზეიმში გადაზრდილი ტურნირი

გუშინ დიდი ლიახვის ხეობაში საკალათბურთო ტურნირის ფინალური ეტაპი გაიმართა. თუმცა, ეს ტურნირი სპორტულ ღონისძიებაზე გაცილებით მეტ დატვირთვას ატარებდა.

A4

## მათამაშეთ, თორემ წავალ! - იმუქრება რივალდო

რივალდომ "მილანი" გააფრთხილა, რომ შეიძლება დატოვოს კლუბი, რადგან არ სურს, ბრაზილიის ნაკრებში ადგილი დაკარგოს. თუ კარლო ანჩელოტი გააგრძელებს ბრაზილიელი ფეხბურთელის უგულებელყოფას, ვარაუდობენ, რომ რივალდო უკვე იანვარში სამშობლოში გადაბარგდება.

A4

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | |
| ქუთაისი | 31 | |
| ბათუმი | 30 | |
| სოხუმი | 28 | |
| გაგრა | 26 | |
| ფოთი | 31 | |
| თელავი | 22 | |
| ზუგდიდი | 31 | |
| გორი | 23 | |
| ახმეტა | 23 | |
| ჭიათურა | 26 | |
| ონი | 20 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1375 |
| ევრო | 2.3951 |
| გირვანქა სტერლ | 3.4322 |
| რუბლი | 0.0705 |

## ხალხმა იკლო „ვაჟაობაზე"

*14 ივლისს ჩარგალში სტუმრიანობა არ ყოფილა, მაგრამ ვაჟა-ფშაველას 142-ე დაბადების დღე ჩარგლის ორმოცდახუთივე ოჯახში აღნიშნულა. აბა რა იქნებოდა, როცა ყველა ჩარგლელს უკიდია კედელზე დიდი თანასოფლელის სურათი. თანაც რა დიდი რამე უნდა, ხინკალი, ჟიპიტაური და... "ვაჟას გაუმარჯოს!"*

ზაზა ფარუაშვილი

ოფიციალური "ვაჟაობა" გუშინწინ გაიმართა, თუმცა წლევანდელი ზეიმი ძველი რიხით ვერ გამოირჩეოდა. "ადრე იმდენი ხალხი იყო, კაცს გვერდს ვერ აუვლიდიო," – ამბობდნენ მრავალი "ვაჟაობის" მნახველები. სტუმრებს შორის იყვნენ მწერალთა კავშირის წევრები, დუშეთის ხელმძღვანელობა, რაიონის ფოლკლორული ანსამბლები და დუშელების უცვლელი რჩეული შალვა ნათელაშვილი თავისი თანაპარტიელებით.

ყველაფერი ხდებოდა სოფლის ცენტრში, ვაჟას სახლ-მუზეუმის გვერდით საამისოდ მოწყობილ სცენაზე, სადაც ერთმანეთს ცვლიდა სიტყვა, ლექსი, ცეკვა და სიმღერა. ბედად წვიმა არ ყოფილა. კუნძსკამებზე, ძირითადად, ჩასულები ისხდნენ. ჩარგლელები ცოტა შორიდან იყურებოდნენ და მაინცდამაინც გახარებულები არ ჩანდნენ.

ორი ქალი მაღლობზე იჯდა.

**- რას შვრებით, დეიდა, როგორ ცხოვრობთ?**

- როგორ ვიცხოვრებთ, გვიჭირს. ოჯახი მუშით უნდა იყოს მდიდარი, შვილო, რომ საქონელი იყოლიო და სოფელი ძლიერი იყოს. მუშა, კიდე, სად არის, ახალგაზრდები აქ არ ჩერდებიან. სხვა, პენსიას ჩვენ არ გვაძლევენ, ორჯერ იყო, მგონი, ამ წელიწადში.

მაღაზია აქ არ არის და არაფერი. თუ რამე გინდა, მაღაროსკარში უნდა ჩახვიდე.

**- მოსავალი?**

- რა მოსავალი, სახნავ-სათესი ცოტაა და აქ მოყვანილი კარტოფილი, სიმინდი და ლობიო ვის ეყოფა. ამიტომ, ძირითადად მესაქონლეობით გაგვაქვს თავი. სათიბები მაღლა მთაშია, კაცი უნდა ყველაფერს.

**- გამოზამთრებას როგორ ახერხებთ?**

- აბ, როგორ ვახერხებთ, ვისაც როგორ შეუძლია, იმარაგებს ფქვილს, შაქარს, ნავთს, შეშას და ვართ გამოკეტილები.

**- დენი?**

- ხანდახან გამოანათებს ხოლმე.

გაგრძელება A4 გვერდზე

## „აჭარის" დაცვის თანამშრომლის მკვლელობის ვერსიებს არ აკონკრეტებენ

გუშინ ღამით, დაახლოებით 2 საათზე, თბილისის ცენტრში, ფალიაშვილის ქუჩაზე პოლიციის თანამშრომელი ჩაცხრილეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უმცროსი ინსპექტორი არჩილ ბერუაშვილი, მეგობართან ერთად, ფალიაშვილის 118-ში მდებარე ტოტალიზატორის ოფისიდან გამოდიოდა. მეგობრები იქვე მდგომ მანქანაში, "შევროლეს" მარკის ჯიპში ჩასხდნენ, როდესაც მათი მისამართით სროლის ხმა გაისმა. სროლა რამდენიმე წამი გრძელდებოდა. არჩილ ბერუაშვილი მიყენებული ჭრილობებისგან ადგილზევე გარდაიცვალა, მისი თანმხლები კი მსუბუქი დაზიანებების მიღებით გადარჩა და იგი ამჟამად საავადმყოფოშია მოთავსებული.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მკვლელობის გამო სისხლის სამართლის საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაშია აღძრული. რაიონის პროკურორის თამაზ გეთიას თქმით, უკვე დათვალიერებულია შემთხვევის ადგილი და იქიდან 21 ცალი "აკს"-ის სისტემის ავტომატის მასრაა ამოღებული.

ჯერჯერობით, გამოძიება მკვლელობის ვერსიებს არ აკონკრეტებს, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ბერუაშვილი სამორინე "აჭარის" ერთ-ერთი მეწილის ლევან შარაშენიძის დაცვაში ირიცხებოდა და, სავარაუდოდ, მკვლელების სამიზნეც სწორედ შარაშენიძე უნდა ყოფილიყო, რომელიც შემთხვევის ადგილზე არ აღმოჩნდა.

ცნობისათვის, სამორინე "აჭარის" მეწილე გახლდათ ორი წლის წინ კალათბურთის ფედერაციის ოფისთან მოკლული, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანიც, რომლის მკვლელობის საქმეც დღემდე გაუხსნელია. გამოძიება ჯერ არც ამ ორ დანაშაულს შორის კავშირზე საუბრობს.

## შვედები - ევროზონაში, ხოლო ესტონელები ევროკავშირში შესვლის ბედს წყვეტენ

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი გაიმართა შვედეთში, რომლის მოსახლეობამაც ერთიანი ევროპული ვალუტის – ევროს ზონაში შესვლის საკითხი უნდა გადაწყვიტოს. როგორც ცნობილია, რეფერენდუმამდე რამდენიმე დღით ადრე, უცნობმა მამაკაცმა სიცოცხლეს გამოასალმა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანა ლინდი. ის ევროზონაში ქვეყნის გაწევრიანების კამპანიას ხელმძღვანელობდა. თუკი მანამდე, ევროს მოწინააღმდეგეები წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით საგრძნობლად უსწრებდნენ ევროს მომხრეთა რიგებს, ანა ლინდის მკვლელობამ ეს სურათი საგრძნობლად შეცვალა.

დამკვირვებლები მიიჩნევენ, რომ ყველაზე პოპულარული მინისტრის მკვლელობა, პირველ რიგში, ამომრჩეველთა გააქტიურებას გამოიწვევს, რითაც შვედებს ძალადობის მიმართ პროტესტის გამოხატვა სურთ.

რეფერენდუმამდე ერთი დღით ადრე სხვადასხვა სოციოლოგიურმა სამსახურებმა საზოგადოებრივი აზრის წინასწარი გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნეს, რომლებიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა.

ერთ-ერთი გამოკითხვის თანახმად, ევროს მოწინააღმდეგთა რიცხვი 40%-46%-ს შორის მერყეობდა. ამავე გამოკითხვის მიხედვით, რესპოდენტთა 14% ხმის მიცემისაგან თავს იკავებდა.

შვედეთის პოპულარული ტელეარხის "ტევე-4"ის მიერ ჩატარებულმა ეგზიტპოლმა ევროს მომხრეთა 43%, ხოლო მოწინააღმდეგეთა 42% დააფიქსირა.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობრივი პროგნოზებისა, დამკვირვებლები ერთხმად აღიარებენ, რომ ანა ლინდის მკვლელობამ ევროს მომხრეთა რიგები არათუ შეამცირა, არამედ საგრძნობლად გაზარდა. თუმცა, მისი მკვლელობის დღეს ყველა შიშობდა, რომ ეს ტრაგედია შვედეთის ევროზონაში შესვლაზე უარყოფითად აისახებოდა.

შვედეთის ყველა პოლიტიკურმა ძალამ ანა ლინდის დაღუპვის გამო წინასარეფერენდუმო კამპანიები შეწყვიტა.

რაც შეეხება შვედეთის პრემიერ–მინისტრს იორან პერსონს, ის ევროზონაში შესვლას მხურვალედ უჭერს მხარს.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 სპორტი A6-A7 "საოჯახო ტოტოს" ცხრილი A8 სხვადასხვა

## გატაცებული ბავშვი გაათავისუფლეს

ორი დღის წინ სამართალდამცველებმა კიდევ ერთი გატაცებული გაათავისუფლეს და გამტაცებელთა კიდევ ერთი ჯგუფი დააკავეს.

11 წლის გიორგი ქიქავა ონის რაიონის სოფელ ჟაქვიდან უცნობმა პირებმა აგვისტოში გაიტაცეს. მომხდარის შესახებ ინფორმაცია სამართალდამცველებმაც და ოჯახის წევრებმაც იმთავითვე გაასაიდუმლოეს.

გატაცების დღეებში მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ გატაცებული გიორგი ქიქავა, სოფელში ბაბუასთან დასასვენებლად იყო ჩასული. დაახლოებით, დღის პირველ საათზე ქიქავების სახლთან მწვანე ფერის "ნივა" გაჩერდა. ბავშვი მანქანაში საკუთარი ნებით ჩაჯდა, რის შემდეგაც "ნივა" გაურკვეველი მიმართულებით წავიდა. მას შემდეგ გიორგი ქიქავა აღარავის უნახავს. თუმცა, არიან ბავშვის გაუჩინარების თვითმხილველები, რომლებმაც ავტომანქანაში უცნობები შენიშნეს. ავტომანქანის სანომრე ნიშნებს თვითმხილველები ვერ აკონკრეტებენ, რადგან, მათი განმარტებით, მანქანა ტალახით იყო დაფარული და რაიმეს გარჩევა შეუძლებელი იყო. ჩვენ მიერ მოპოვებული არაოფიციალური ინფორმაციით, გიორგი ქიქავას გატაცება მისი მშობლების ბიზნესს უკავშირდება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სამართალდამცველებს უგზო-უკვლოდ დაკარგული გიორგი ქიქავას ოჯახის წევრებმა მეორე დღესვე მიმართეს. პოლიციამ ძებნა მაშინვე გამოაცხადა და რაჭა-ლეჩხუმის სავალი გზა გადაკეტა. ამის გარდა, ქიქავას გატაცებასთან დაკავშირებით პოლიციას ინფორმაცია არ გაუვრცელებია. ორი დღის წინ კი ცნობილი გახდა, რომ სამართალდამცველებმა, არაოფიციალური ინფორმაციით - რაჭაში, სპეცოპერაცია ჩაატარეს - ბავშვი გაათავისუფლეს და გამტაცებელთა ჯგუფიც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დააკავეს.

როგორც რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პროკურატურა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები წარმატებული ოპერაციის დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებდნენ. ერთადერთი, რაც სამართალდამცველებმა გაგვიმხილეს, არის ის, რომ ბავშვის გათავისუფლებაში ქიქავების ოჯახს თანხა არ გადაუხდია. პოლიციის მაღალჩინოსანთა დაპირებით, ქიქავას გათავისუფლების შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას თავად შინაგან საქმეთა მინისტრი დღეს პრესკონფერენციაზე გაუმხელს.

## ირანი ზეწოლას არ ეპუება

ირანმა განაცხადა, რომ თუ მასზე ზეწოლას არ შეწყვეტენ, შეიძლება ჩრდილოეთ კორეის მაგალითს მიბაძოს და ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გავიდეს.

შეერთებული შტატების მხრიდან ენერგიული ლობირების შემდეგ, გაერო-ს ატომურმა სააგენტომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ირანს მოსთხოვა, მის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ ყველა კითხვას პასუხი გასცეს. რეზოლუციის თანახმად, თუ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ნოემბერში კიდევ ექნება რაიმე ეჭვი ირანთან დაკავშირებით, მას შეუძლია ეს ქვეყანა ოფიციალურად დაადანაშაულოს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევაში და მისი საკითხი უშიშროების საბჭოს წინაშე დააყენოს. ამ რეზოლუციის მიღებამ ირანის აღშფოთება გამოიწვია. ირანის ელჩმა ვენაში, სალეჰიმ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება აშკარად მიანიშნებს ამერიკის სურვილზე, ისევე მოექცეს ირანს, როგორც ერაყს მოექცა. "შპიგელთან" ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ამერიკას სურს ირანს ურანის გამდიდრება აუკრძალოს, რადგან ვაშინგტონი შიშობს, რომ გამდიდრებული ურანი თეირანმა, შესაძლოა, ბომბისათვის გამოიყენოს.რეზოლუცია მართლაც მოუწოდებს ირანს, შეწყვიტოს ურანის გამდიდრება.

"დასაწყისისათვის, ჩვენ შეგვიძლია, ატომურ სააგენტოსთან თანამშრომლობა მინიმუმამდე შევზღუდოთ, – წერს სალეჰი, – შეგვიძლია, თანამშრომლობა შევაჩეროთ. დაბოლოს, არ არის გამორიცხული გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან საერთოდ გამოვიდეთ კიდეც" ირანის მიმართ მკაცრ რეზოლუციას, ყველასათვის მოულოდნელად, საჯაროდ დაუჭირა მხარი რუსეთმაც - ქვეყანამ, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, თეირანისათვის ხელი დაეფარებინა. "ეს რეზოლუცია არის სერიოზული მოწოდება ირანისადმი, დაუყოვნებლივ დაიწყოს სრულმასშტაბიანი თანამშრომლობა სააგენტოსთან," – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი კისლიაკმა. თეირანი ამერიკის ყველა ბრალდებას უარყოფს. ექსპერტები კი აცხადებენ, რომ ირანის სამხედროთა ერთ ჯგუფს ხელშეკრულებიდან გამოსვლა და ინდოეთისა და პაკისტანის მაგალითის მიბაძვა სურს.

"ირანი მიხვდა, რომ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს საიდუმლო ბირთვული პროგრამა. თუ იგი წარმატებით დასრულდა, ქვეყანა ატომურ სტატუსს იღებს. მის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები წესდება, მაგრამ მალე ახალი ბირთვული სახელმწიფოს გამოჩენას ყველა ურიგდება," – ამბობს ანუშ ეჰტესამი. იმის დასამტკიცებლად, რომ დასამალი არაფერი აქვს, ირანს ვადა 31 ოქტომბრამდე აქვს. მან გაეროს ექსპერტებს უნდა გადასცეს მის ხელთ არსებული ყველა იმ მასალების და მოწყობილობების სია, რომელიც ბირთვულ პროგრამაში გამოიყენება. გარდა ამისა, თეირანმა უფლება უნდა მისცეს საერთაშორისო ინსპექტორებს, ნებისმიერ დროს ნებისმიერი ობიექტი შეამოწმონ. დაბოლოს, რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ირანი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ გამოასწოროს საქმე.

## შვედები - ევროზონაში, ხოლო ესტონელები ევროკავშირში შესვლის ბედს წყვეტენ

პირველი გვერდიდან

მისი განცხადებით, რეფერენდუმზე უარყოფითი შედეგების დაფიქსირება შვედეთს ევროპის მოწინავე ქვეყნის ტიტულს მალე დააკარგვინებს და მას მეორეხარისხოვან სახელმწიფოთა რიგში ჩააყენებს. რეფერენდუმის შედეგები დღეს გახდება ცნობილი.

თუკი, შვედები ევროზონაში შესვლა-არშესვლის საკითხს არკვევდნენ, ესტონელები მათ ერთი ნაბიჯით ჩამორჩებიან. ესტონეთში გუშინ გამართულმა საყოველთაო რეფერენდუმმა ამ ქვეყნის ევროკავშირში შესვლა უნდა გაარკვიოს. მართალია, ბალტიის ქვეყნების წარმატების ბევრ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს შურს, მაგრამ თავად ესტონელები ევროკავშირის მიმართ არც თუ ცალსახა აღფრთოვანებით არიან განწყობილები.

ევროსკეპტიკოსთა ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი ივარ რაიგი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირის მემარცხენე ეკონომიკური პოლიტიკა სერიოზულ ზიანს მიაყენებს ესტონეთს, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე მემარჯვენე ლიბერალურ კურსს ერთგულად იცავდა. **"ჩვენ ისევ ვბრუნდებით უძრავი ეკონომიკის და პოლიტიკის ერაში. ჩვენ დამოუკიდებლად უფრო სწრაფად მოვახერხებთ განვითარებას. ევროკავშირი ესტონეთისათვის განვითარების ლოკომოტივი კი არა, მხოლოდ მუხრუჭია,"** - აცხადებს ივარ რაიგი. მისი აზრით, ევროკავშირში შესვლით ესტონეთი არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც კარგავს. მას მაგალითისათვის მოჰყავს მზადების პროცესში მყოფი ევროკონსტიტუცია, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებისათვის ერთიან საგარეო და თავდაცვით პოლიტიკას აწესებს. **"ესტონეთი უნდა დარჩეს ღია სახელმწიფოდ და ითანამშრომლოს, როგორც ამერიკასთან, ასევე აღმოსავლეთთან. ასე რომ, ევროკავშირში გაწევრიანებამ, შესაძლოა, დამატებითი პრობლემები შეგვიქმნას,"** - ფიქრობს რაიგი.

მიუხედავად იმისა, რომ ევროსკეპტიკოსთა რაოდენობა ესტონეთში არც თუ ისე მცირეა, ანალიტიკოსთა აზრით, მათ აშკარად დაჯაბნიან ევროკავშირის მომხრეები. თუმცა, ყველაფერი დღეს გახდება ცნობილი.

# ჰეიდარ ჯემალი: „აფხაზეთი კრემლი-ვაშინგტონის კავშირის ერთ-ერთი ღერძია"

პირველი გვერდიდან

ნახეთ აზერბაიჯანის მაგალითი: დღეს იქ ნახჩევანის კლანი თავის ხელში ცდილობს ხელისუფლების კონცენტრაციას, რადგანაც აზერბაიჯანული ოპოზიცია და ოპოზიციის ლიდერები დღეს მხდალებისა და პოლიტიკური არარაობების ნაკრებია. მათ არ შეუძლიათ მოლაპარაკება, ორგანიზება, ამიტომაც ნახჩევანის კლანის ყურმოჭრილ მონებად გამხდარან. აქედან არასახარბიელო პროცესებს უნდა ველოდოთ, რადგანაც, ვფიქრობ, ამერიკელები აზერბაიჯანში სიტუაციის მართვას გააგრძელებენ, რათა ირანზე თავდასხმისათვის იგი ფრონტისწინა მოედნად გადააქციონ. ჯერჯერობით ირანზე თავდასხმა გადადებულია იმიტომ, რომ ამერიკელებმა ვერ გადაჭრეს ფრონტისწინა ზოლის რესპუბლიკების საკითხი - არ გადაუჭრიათ თურქმენეთისა და აზერბაიჯანის საკითხი. აზერბაიჯანში მათ ჯერ სიტუაცია არ აქვთ დაფიქსირებული, თურქმენეთში კი თურქმენბაში ზის და გამოწვევებს ესვრის ყველას. იგი არც ანტიტერორისტულ თამაშებში გარეულა, არც თალიბების წინააღმდეგ გამოსულა. ცოტა ხნის წინ თურქმენბაშის ლიკვიდაციის რეალურმა მცდელობამ დაგვანახა, რომ ამერიკას მისი განადგურების გეგმაც აქვს. თუმცა ირანისა არ იყოს, ეს მომენტიც გადადებულია. ამერიკული ავიაციის მისაღებად დღეს აზერბაიჯანი და თურქმენეთი მზად არ არიან. მაგრამ ეს მხოლოდ დროის საკითხია.

**- დღეს ყველას აინტერესებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა და იქაური ლიდერის პრობლემა. როგორ განვითარდება მოვლენები?**

- ილჰამ ალიევი გაიმარჯვებს. მე ვნახე, როგორ ექცევა ოპოზიციას აზერბაიჯანული მილიცია, ძალოვნებს არაფრის ეშინათ, რადგანაც ამერიკელებისაგან მყარი გარანტიები აქვთ მიღებული. ხელისუფლებაში დასარჩენად ყველაფერზე წავლენ.

ჰეიდარ ალიევი, ჩემი ინფორმაციით, ღრმა კომაშია, ხელოვნური სისხლისმიმოქცევის აპარატზეა მიერთებული.

**- აშშ-ს ინტერესებში საქართველოცაა მოქცეული, რაც რუსეთის გაღიზიანებას იწვევს...**

- შევარდნაძის პრობლემა იმაშია, რომ იგი ევროპული ორიენტაციის პოლიტიკოსიდან პრაგმერიკულად ჩამოყალიბდა. არადა, სამხრეთ კავკასიის გადარჩენის ერთადერთი გზა მხოლოდ ევროპაზე ორიენტაციაა. ახლანდელ სიტუაციაში ევროპა არასოდეს წავა აშშ-სთან კომპრომისზე. ბრძოლა იქნება შეურიგებელი, რადგანაც ამერიკელების უმთავრესი მიზანია ევროპის განადგურება, როგორც ძველი სამყაროს ყველაზე ორგანიზებული ნაწილისა. აშშ-მ ევროპა, როგორც რეალობა, დღის წესრიგიდან თუ არ მოხსნა, რამდენიმე წლის შემდეგ აშშ მძიმე კრიზისში ჩავარდება და რუსეთის იმპერიის ხვედრი მონაგონი იქნება. ამიტომაცაა აშშ დღეს არბიტრის როლში და სხვისი ხელებითა და რესურსით ცდილობს საკუთარი პრობლემის მოხსნას. დღევანდელ ევროპას კი ისლამური სამყაროს მხარდაჭერა სჭირდება, რადგანაც მარტო ვერაფერს გახდება. დღეს კავკასიის მთავარი ფუნქციაა ევროპასთან მჭიდრო კავშირი, ევროპელები კავკასიის რესპუბლიკებში დასაყრდენს ეძებენ, რომელთა სტაბილურობაც ევროპული ცივილიზაციის გადარჩენის გარანტიაა. ის პოლიტიკოსები კი, ვისაც ეს ესმის, მომავალი კავკასიური ცივილიზაციის აღმავლობის ორგანიზატორები იქნებიან. ხოლო ის პოლიტიკური ძალები, ვინც მოსკოვთან ან ვაშინგტონთან გარიგებაზე წავლენ, რეალურად განწირულნი არიან, რადგანაც მოსკოვის დროც წავიდა და ვაშინგტონისაც. ვაშინგტონის ინტერესებში მოქცეული საქართველოსაგან არაფერს კარგს არ უნდა ველოდოთ, დესტაბილიზაციისა და ანარქიის ფაქტორების გამო. აფხაზეთის დაურეგულირებელი პრობლემის მიზეზი ისლამისაგან განდგომაა. აფხაზებს მხარი უნდა დაეჭირათ საქართველოსთან პოლიტიკური ერთობის შეთავაზებული ვარიანტისათვის, ამის ნაცვლად, საეჭვო გეოპოლიტიკურ თამაშებს აწარმოებენ რუსეთთან. სწორედ აფხაზეთი

*ჰეიდარ ჯემალი*

კრავს წრეს საქართველო-აშშ ურთიერთობებში, ამაშია სწორედ კრემლი-ვაშინგტონის კავშირის ერთ-ერთი ღერძი, თორემ რუსეთს აფხაზეთი არ სჭირდება. რუსეთს სჭირდება საქართველოში დესტაბილიზაცია აფხაზეთის მუსულმანთა წინააღმდეგ.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ აფხაზეთისა და სხვა ეთნოკონფლიქტების გაღვივებაში ამერიკაა დაინტერესებული და არა რუსეთი?**

- რუსეთი? სადღაა რუსეთი? რუსეთი აღარ არსებობს... საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ბოლოს და ბოლოს შევარდნაძე ამერიკის სპეციალური დანიშნულების რაზმს გამოითხოვს. რუსები კი აფხაზეთიდან სიხარულითა და ხელების ფშვნეტით გავლენ.

**- და რა მოხდება მერე?**

- თავისუფლად ამოისუნთქავენ ის პოლიტიკოსები, ვინც ქართულ-აფხაზური ინტრიგა დახლართეს. მაგრამ აფხაზეთის გარდა საქართველოში სიმძიმის კიდევ ცხრა ცენტრია. მას ახლა სვანეთიც დაემატა.

**- საკმაოდ შავი სურათი დახატეთ. გამოსავალი?**

- გამოსავალს ვხედავ საქართველოს ახალგაზრდობის, დემოკრატიული ძალების მოძრაობაში, მათ გაერთიანებაში, კავკასიაზე ახალი წარმოდგენის შექმნაში, მისი როლის ახლებურად გააზრებაში, თანამედროვე ქართული მინიიმპერიალიზმიდან თავის დაღწევაში, ერთიანი კავკასიის იდეის შესრულებაში.

**- ბევრი რუსი პოლიტიკოსი პრორუსულ ღირებულებებზე ორიენტირებას გვირჩევს...**

- რომელ რუსულ ღირებულებებზე ვსაუბრობთ? რეალურად დღეს რუსეთს რამდენიმე ებრაული კლანი განაგებს და ისინიც ერთმანეთს ებრძვიან. რუსეთის სახელმწიფოებრიობა აღარ არსებობს. კრემლი ირყევა ამერიკულ-სიონისტურად განწყობილ პოლიტიკოსებს შორის. სხვათა შორის, ეს მშვენივრად იცის ედუარდ შევარდნაძემ, რადგანაც სწორედ იგია გორბაჩოვშჩინის ერთ-ერთი მონაწილე და ოპერატორი. იგი 1991 წლის აგვისტოს მოვლენების მთავარი ოპერატორიც იყო სსრკ საგარეო მინისტრის პოსტიდან. მან დღეს მშვენივრად იცის, რომ რუსეთი აღარ არსებობს.

**- რატომ ჩამოვიდა მაშინ რუსეთში მამა-ბუში? რეალურად, რა მიზანს ისახავს მისი შეხვედრა სოჭში მყოფ პრეზიდენტ პუტინთან 14 სექტემბერს?**

- პუტინი დღეს არარაობაა. რუსეთში ხელისუფლების კრიზისი სახეზეა და იგი რამდენიმე კლანადაა დაყოფილი. ამიტომაც მამა ბუშს სურს საკუთარი თვალით დარწმუნდეს, რომ რუსეთში დღეს არსებობს პროამერიკული ბირთვი. ჩამოდის, რათა მხარი დაუჭიროს მას, ვინც ვაშინგტონის ერთგულია. აშშ დღეს რუსული ენერგორესურსების ხელში ჩაგდებას ცდილობს, რაშიაც აქტიურად იყენებს, მაგალითად, ანატოლი ჩუბაისს. ელცინის ოჯახის წევრები ვალენტინ იუმაშევი, ალექსანდრე ვოლოშინი, ანატოლი ჩუბაისი – აი, ეს სამეული მართავს დღეს რუსეთს და ეს სამი ადამიანია აშშ-ს ცალკეულ წრეებთან დამაკავშირებელი რგოლი. ანატოლი ჩუბაისს კი უფრო კონკრეტული ამოცანები აქვს გადასაჭრელი - მაგალითად, პოსტსაბჭოთა სივრცის აშშ-ს ინტერესებში მოქცევა.

# დიდი ხუთეული შეთანხმების მიღწევას ცდილობს

პირველი გვერდიდან

ვაშინგტონს ერაყის ოკუპაცია სულ უფრო მეტი უჯდება როგორც ფულის, ისე ცოცხალი ძალის მხრივ. ამიტომ, მას სხვა ქვეყნების დახმარება სულ უფრო მეტად ესაჭიროება. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია კი საუკეთესო გზაა ამ დახმარების მისაღებად.

ერაყის ოკუპაციას მზარდი წინააღმდეგობა ხვდება ქვეყნის შიგნითაც. შაბათს ფალუჯაში ამერიკელი ჯარისკაცების მიერ მოკლული ერაყელი პოლიციელების დაკრძალვაზე ბრბო ერთხმად სკანდირებდა: "ამერიკა ალაჰის მტერია".

კიდევ ერთი ერაყელი მოკვდა და ორი დაიჭრა ნასირიაში გამართული საპროტესტო დემონსტრაციის დროს. ინფორმაცია ამის შესახებ იტალიურმა სამხედრო სარდლობამ გაავრცელა, რომლის ძალებიც იცავდნენ ქალაქს.

ამ ფონზე, პრეზიდენტი ბუში თავის მოკავშირეებს სულ უფრო დაჟინებით სთხოვს დახმარებას. პარასკევს მან განაცხადა, რომ თავისუფალი ქვეყნები არ შეიძლება ნეიტრალურნი დარჩნენ "ცივილიზაციისა და ქაოსის დაპირისპირებისას".

თუმცა, ანტისაომარი კოალიციის წევრები ამერიკის დახმარებას ჯერ არ ჩქარობენ. ამერიკელების მიერ წარდგენილ რეზოლუციაში პარიზმა და ბერლინმა მოითხოვეს იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლებიც ერაყში განლაგებული ამერიკული საოკუპაციო ჯარების ხელისუფლებას მინიმუმამდე ამცირებს.

საფრანგეთსა და გერმანიას სურთ, რომ ვაშინგტონმა ერაყში ხელისუფლება მათაც გაუყოს, რაც მომავალში ამ ქვეყნებს ერაყული ნავთობის ნაწილს ჰპირდება.

საფრანგეთი მოითხოვს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ერთი თვის ვადაში ერაყელებს გადაეცეთ, ხოლო არჩევნები მომავალ გაზაფხულზე დაინიშნოს.

თუმცა, პარიზის პოზიცია აღარ არის ისეთი შეურყეველი, როგორც ომის წინ იყო. კითხვაზე - დაადებს თუ არა საფრანგეთი ვეტოს რეზოლუციას, თუ მისი მოთხოვნა გათვალისწინებული არ იქნება - საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დე ვილპენმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა პრობლემების შექმნას არ აპირებს.

მიუხედავად შემრიგებლური განცხადებებისა, დიდ ხუთეულს შორის ახლანდელი უთანხმოება ბევრი რამით წააგავს ომის წინ არსებულ ვითარებას. პირველ რიგში, ძალთა გადანაწილებით. ისევ ერთ მხარეზე არიან ამერიკა და ინგლისი, მეორეზე – საფრანგეთი და რუსეთი, ჩინეთი კი ცდილობს, დაპირისპირებაში ნაკლებად ჩაერიოს.

ვაშინგტონი აცხადებს, რომ საფრანგეთის წინადადების მიღების შემთხვევაში, ერაყში ქაოსი გარდაუვალი იქნება. ერაყელებით დაკომპლექტებული მმართველი საბჭო, რომელიც ოფიციალურად აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს, მინიმალური ძალაუფლებით სარგებლობს.

"ფრანგების მიერ შემოთავაზებული გრაფიკი არარეალურია, – განაცხადა კოლინ პაუელმა, – მხოლოდ მთავრობის არსებობა არ არის საკმარისი, იგი ქმედუნარიანიც უნდა იყოს. ყველაზე უარესი, რაც ჩვენ ახლა შეგვიძლია ერაყელებს გავუკეთოთ, ის არის, რომ მათი მთავრობა მარცხისათვის გავწიროთ".

თუმცა, პაუელი აღიარებს, რომ საფრანგეთთან საერთო ენის გამოძებნას ვაშინგტონი ახლა უფრო ახერხებს. "მთელი დღის მანძილზე ჩვენ შეხების წერტილების პოვნას ვცდილობდით, და ბევრიც გამოვნახეთ," – განაცხადა მან.

***როიტერი***

# „მაემმა" სამხრეთ კორეა დაანგრია

შაბათ-კვირას სამხრეთ კორეას უძლიერესი ტაიფუნი დაატყდა თავს. როგორც აღნიშნავენ, ტაიფუნი სახელად "მაემი" რეგიონში ბოლო ასი წლის მანძილზე არ გამოჩენილა. გარდა იმისა, რომ ტაიფუნმა არსებითი ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, მან 72 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მონაცემები მსხვერპლის თაობაზე გუშინ გამოქვეყნდა. მათ გარდა კიდევ 24 ადამიანი დაკარგულად ითვლება.

ტაიფუნს თან სდევდა კოკისპირული წვიმა, რომლის ნალექიც ზოგ ადგილას 450 მმ-საც კი აღწევდა. რაც შეეხება გრიგალს, მისმა სიჩქარემ წამში 216 მეტრს მიაღწია. ყოველივე ამან კი მილიონნახევარი საცხოვრებელი სახლი ელექტროენერგიის გარეშე დატოვა და ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორია წყლით არის დატბორილი. სამაშველო სამუშაოებში, რომელიც ხალხის ევაკუაციას და მათთვის საკვების მიწოდებას ისახავს მიზნად, კორეის სამხედრო ძალები მონაწილეობენ.

სამხრეთ კორეის 18 ატომური ელექტროსადგურიდან ხუთმა მუშაობა შეაჩერა. ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე გაჩერებულია ოცდაათი უმსხვილესი საწარმო, გადაკეტილია ავტომაგისტრალები. გარდა ამისა, ქვეყნის ამ ნაწილში შეწყვეტილია სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტის მიმოსვლა.

*"მაემმა" 72 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.*

ტაიფუნს სახელად "მაემს" უკვე დღეს რუსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი, კამჩატკის ნახევარკუნძულზე ელიან.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკის ლიდერები დღეს ქუთაისსა და ბაღდათის რაიონში წინასაარჩევნო გასვლას მოაწყობენ. ბლოკი ბაღდათში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს არ წარადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ტრადიციონალისტთა კავშირის" ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატებთან" ოფიციალურად გაერთიანების აღსანიშნავი პრეზენტაცია სამშაბათისთვის არის დანიშნული, მანამდე კი მომავალი პოლიტიკური პარტნიორები საბოლოო კონსულტაციას კიდევ ერთხელ გამართავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსთვის" სპიკერმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ "მორიგი საარჩევნო ტრიუკი" უწოდა ბოლო დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას ოპოზიციის გაერთიანების შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ნაციონალური სტრატეგიის საბჭოს გენერალური დირექტორი სტანისლავ ბელკოვსკი აცხადებს, რომ 2010 წლისათვის ქართულ-აფხაზური პრობლემა, შესაძლოა, მთლიანად მოგვარდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულა გიული ოფიციალური ვიზიტით თბილისს 15 სექტემბერს ეწვევა. მასთან ერთად ჩამოვა თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქალაქ სტამბოლში 15 სექტემბერს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის („ბისეკი") ორგანიზაციის უფროსი თანამდებობის პირთა ორდღიანი შეხვედრა გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის თანამდებობა ამ პოსტიდან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გენერალ-ლეიტენანტ ჯონი ფირცხალაიშვილის წასვლის შემდეგ, შესაძლოა, ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ იმნაძემ დაიკავოს, რომელიც ამჟამად გენშტაბის ოპერატიული და საბრძოლო დაგეგმვის - "G-3" დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლიტვის პრეზიდენტი რონალდას პაქსასი, რომელიც საქართველოში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, სამშობლოში გაემგზავრა. ვიზიტის დროს პაქსასს ოფიციალური შეხვედრები ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილთან. 11 სექტემბერს ხელი მოეწერა "საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" შეთანხმება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საზღვარგარეთული დიპლომატიური კორპუსი ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის შოთა დოღონაძის თქმით, თუ შესაბამისი თანხები არ გადაირიცხება, უკვე მიმდინარე თვეს ქართველ დიპლომატებს შეიძლება წმინდა ყოფითი პრობლემები გაუჩნდეთ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკ "ახალი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერის - ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით, სახელისუფლებო ბლოკი რამდენიმე დღეში წინასაარჩევნო პლატფორმის პრეზენტაციას მოაწყობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი გამნაღმველები, რომლებიც ერაყის ქალაქ ტიკრიტის რაიონში არიან დისლოცირებულნი, აშშ-ს სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად გამოყენებისათვის უვარგისი სამხედრო მარაგების უტილიზაციისას, ყოველდღიურად 300-დან 400 ნაღმსა და ჭურვს ანადგურებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსთავის N2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაქცეული 129 პატიმრიდან ბოლო მონაცემებით უკვე 67 დაკავებულია. მათგან შვიდი სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში ნებაყოფლობით გამოცხადდა, ხოლო ორი პატიმარი აზერბაიჯანის სამართალდამცავმა ორგანოებმა ქართულ მხარეს გუშინ გადმოსცეს. **ინტერ-პრესი.**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ორი სიტყვით

**თბილისი.** 16 სექტემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართება საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის მეორე ეტაპის პროექტების პრეზენტაცია. აღნიშნული ღონისძიება მოსამართლეთა ასოციაციის, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და აშშ-ს იურისტთა ასოციაციის მიერ არის ორგანიზებული. პრეზენტაციაზე მოსამართლეთა ეთიკის, მოსამართლეთა პროფესიული შეუვალობისა და მათი პროფესიული ერთობის განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტრასბურგის სასამართლო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით დაკავებული 13 ჩეჩენის სარჩელის მიღება-არმიღების საკითხს ორ დღეში გადაწყვეტს. პროცესს დაესწრება საქართველოს წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში - ლაშა ჭელიძე. თუ სტრასბურგის სასამართლომ, ამ და სხვა საკითხების გათვალისწინებით, ჩეჩენთა სარჩელები მიიღო, საქმე არსებითად განიხილა და სარჩელი დააკმაყოფილა, განსასჯელები მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის სახელმწიფოსგან ფულად კომპენსაციას მოითხოვენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისრაელში გასამართლებულ, "მხედრიონის" ერთ-ერთ ლიდერს გიგა გელაშვილს საქართველოში საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები დღეს ჩამოიყვანენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** სააქციო საზოგადოება „აზოტის" ტერიტორიაზე არსებულ ტექნიკურ საწყობზე ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა. ექვსმა ნიღბიანმა პირმა შეაღწია საწარმოს ტერიტორიაზე, საუწყებო დაცვის თანამშრომელს, რომელიც შენობას იცავდა, 49 წლის ივანე გელაშვილს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, დანის მუქარით ე.წ. „სკოჩით" აუკრეს პირი, შეუკრეს ხელ-ფეხი და იქვე, ორმოში ჩასვეს. ყაჩაღებმა საწყობის გაქურდვა ვერ მოახერხეს, რადგან „აზოტის" საუწყებო დაცვამ შეტყობინება მიიღო და ყაჩაღები, შექმნილი ხმაურის გამო, შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლებმა, მოგვიანებით, რუსთავში VI მიკრორაიონში მცხოვრები 6 პიროვნება აიყვანეს, რომლებმაც აღიარეს ჩადენილი დანაშაული. ესენი არიან 23 წლის გიორგი ჭელიძე, 20 წლის ივანე კირვალიძე, 22 წლის ადრე ნასამართლევი ზურაბ მყესაშვილი, 21 წლის გიორგი რეხვიაშვილი, 21 წლის ზვიად ყველაიძე, 16 წლის გოგა არაბული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბოლნისი.** ბოლნისის პოლიციამ დააკავა დეზერტირობისთვის ძებნილი, ბოლნისში მცხოვრები, 20 წლის რევაზ სულწაძე, რომელმაც ადრე ჩადენილი რამდენიმე დანაშაული აღიარა. მათ შორის, 14 ივლისს ჩადენილი დანაშაული, რომლის დროსაც ბოლნისში მცხოვრები ვალერი ქართველიშვილის სახლის ეზოდან 1000 ლიტრი უცხოური წარმოების ავტომანქანის ზეთი მოიპარა. ასევე აღიარა 29 აპრილს ბოლნისში მდებარე ავთანდილ დვალიშვილის საფლავიდან ალუმინის მესერის ქურდობის ფაქტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბოლნისი.** ბოლნისის რაიონის სოფელ ცურტავში მცხოვრებ, 56 წლის იმდათ ნამაზოვის ოჯახს ხუთი დაუდგენელი ბოროტმოქმედი დაესხა თავს, რომელთაგან ორი შეიარაღებული იყო მცირეკალიბრიანი შაშხანით, ერთი მათგანი - პისტოლეტით, ხოლო ერთიც - ნაჯახით. აღნიშნულმა პირებმა ნამაზოვსა და მის მეუღლეს, 49 წლის ელნარა მარდანოვას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, გაიტაცეს 500 ლარი, რა დროსაც დაზარალებულებმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და წაართვეს მათ 1961 წელს გამოშვებული N12567 ტოზ-38-ის ტიპის მცირეკალიბრიანი შაშხანა. დაზარალებულმა ელნარა მარდანოვამ ბოროტმოქმედთაგან ამოიცნო მეზობლად მცხოვრები, 19 წლის ვაგარ ბაირამოვი, რომელიც დაკავებულია. დანარჩენ პირებზე ძებნა გამოცხადდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბოლნისი.** სოფელ იწრიაში მცხოვრებ 77 წლის ისმაილ ისმაილოვის ოჯახს თავს დაესხა ხუთი დაუდგენელი პირი, რომელთაგან ერთი ნიღბის გარეშე იყო, დანარჩენი ოთხი კი - ნიღბით. თავდამსხმელნი შეიარაღებულნი იყვნენ ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით. ოჯახის პატრონსა და მის მეუღლეს, ასევე 77 წლის დელარ ისმაილოვას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, გაიტაცეს 4950 ლარი, ოქროს სამკაულები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. **მედია-ნიუსი**

# გახმაურებული კონფლიქტი გაუხმაურებელი დოკუმენტების გამო

პირველი გვერდიდან

ლევან ხარხელაური ფოტო

მშენებარე კორპუსები კონფლიქტის კერებია.

1998 წელს შედგენილი აქტის მიხედვით, რომელსაც ხელს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საშინაო ვალის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. გუგუშვილი და დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ზ. ტატიშვილი აწერენ, ვარკეთილის №19 კორპუსის ასაშენებლად მეპაიეებმა კოოპერატივში 1989 წლის 22 გვისტოს 425 000 მანეთი ჩარიცხეს, ამავე წლის 22 ნოემბერს - 310 600 მანეთი, 1990 წელს – 105 700 მანეთი. №19 კორპუსის მეპაიეებმა კი 1989 წლის 7 სექტემბერს – 500 ათასი მანეთი, 1989 წლის 20 ნოემბერს – 295 600 მანეთი, 1990 წელს 43 200 მანეთი. საბოლოო ჯამში, მათ გეგმით გათვალისწინებულ თანხაზე ბევრად მეტი გადაიხადეს, რადგან მშენებარე კორპუსების ფასი ნელნელა იზრდებოდა. 1992 წელს, ქვეყანაში დაწყებული არეულობის გამო, მშენებლობები შეჩერდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ კოოპერატივებს სთხოვა, მშენებლობების ხარჯები ბიუჯეტში სრულად ჩაერიცხათ. სამაგიეროდ, ხელისუფლება ყველა დაწყებული მშენებლობის 1995 წლამდე დამთავრებას საკუთარ თავზე იღებდა. მთავრობამ პირობა ვერ შეასრულა და, 1998 წელს, სახელმწიფოს შიდა ვალის შესახებ კანონის თანახმად, კოოპერატივების წევრთა მიერ გადახდილი თანხები შიდა ვალად აღიარა. პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, სახელმწიფო დავალიანების დაფარვის ხელშემწყობ ღონისძიებათა განხორციელების 5-წლიანი პროგრამაც შეიქმნა. ამ პროგრამის მიხედვით, თავის დროზე კოოპერატივების მიერ დაწყებული მშენებლობები ქალაქის ბიუჯეტიდან ნელ-ნელა უნდა დაფინანსდეს. ამჟამად, ვარკეთილის ზემო პლატოზე მშენებარე 16 სართულიანი 28-ე და გლდანის მეხუთე მ\რ-ში მშენებარე 26-ე კორპუსების მშენებლობა სრულდება. ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ დაუმთავრებელ შენობათა შორის ვარკეთილის მე-19 კორპუსი მე-5 ადგილზე დგას, მე-18 – მე-7-ზე.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კორპუსების მშენებლობაში მოქალაქეებს საკმაოდ სოლიდური თანხები გადაუხდიათ, თანაც, ორივე კორპუსი, როგორც მსგავსი დაუმთავრებელი შენობები, ამჟამად მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახურის ბალანსზე ირიცხება და მათი დაკავების უფლება დევნილებს ნამდვილად არ ჰქონდათ. **"ჩვენ რომ ამ შენობებში შევდიოდით, მერიამ იცოდა, წერილობით მივმართეთ, მაგრამ მაშინ არავის გაუპროტესტებია. დღეს კი, როცა თითოეულმა შესახლებულმა ოჯახმა ავარიული შენობა საცხოვრებლად მოვაწყეთ, წყალგაყვანილობა და კანალიზაცია გავიყვანეთ, გვასახლებენ. კერძო სამშენებლო ექსპერტიზის დასკვნით, ორივე კორპუსში ჩვენს მიერ 200 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებია ჩატარებული. დაგვიბრუნონ ეს ფული, მოგვცენ საცხოვრებელი ფართი და გამოვალთ ამ კორპუსებიდან,"** – ირწმუნება მე-18 კორპუსში მცხოვრები ნოდარ ცალანი. ამასვე ადასტურებს ადვოკატი დავით შანიძე. **"მერიას რომ დევნილთა აღნიშნულ კორპუსებში შესვლა არ გაუპროტესტებია, ერთი დოკუმენტიც ადასტურებს. წერილში, რომელიც 2002 წლის 8 აპრილით არის დათარიღებული, "ეიი-ეს თელასი" ქალაქის პრემიერ გ. შერაძეს მისი მიმართვის პასუხად ატყობინებს, რომ იგი ვარკეთილის მეორე მ\რ-ში მდებარე N18-19 კორპუსების აბონირების წინააღმდეგი არ არის,"** – აცხადებს იგი. მერია დევნილთა ბრალდებას იმით პასუხობს, რომ 2002 წლის 5 ივლისს შერაძემ, რაიონულ სასამართლოში, ვარკეთილის კოოპერატიულ კორპუსებში შეჭრილ დევნილთა გამოსახლების მოთხოვნით, სარჩელი შეიტანა. მათი იქ შეჭრის მომხრე რომ ყოფილიყო, სასამართლოში ხომ არ იჩივლებდაო,- ამბობენ. თუმცა, დავით შანიძე ერთ საინტერესო დოკუმენტსაც წარმოგვიდგენს. მაშინდელ სახელმწიფო მინისტრთან, ვაჟა ლორთქიფანიძესთან ჩატარებული სხდომის 1999 წლის 2 დეკემბრით დათარიღებულ ოქმში აღნიშნულია, რომ ქალაქის სოციალურ საკითხთა სამსახურმა წარმოადგინა ნუსხა შენობებისა, სადაც დევნილთა დამატებითი ნაკადისთვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფა შეიძლებოდა. ამ ნუსხაში რატომღაც ზემოთ აღნიშნული ორი კორპუსიც არის მოყოლილი. ამ ინფორმაციის მიმწოდებლებად დასახელებულია შემდეგი გვარები: ვ. ზოდელავა, მ. უკლება, ვ. ვაშაკიძე, ცაავა, ჯაჭვლიანი. როგორც მერის თანაშემწე განმარტავს, კორპუსების ნუსხა ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამმართველოს მიერ უნდა იყოს მიწოდებული. თუმცა, სამმართველოს უფროსს იური მაისაშვილს წარმოდგენაც კი არ აქვს, ვარკეთილის ორი მშენებარე კოოპერატიული კორპუსი სახელმწიფო მინისტრისთვის წარდგენილ ნუსხაში საიდან უნდა მოხვედრილიყო. კოოპერატიულ შენობებთან ჩვენს სამსახურს არასოდეს საქმე არ ჰქონიაო, - აცხადებს იგი.

ასეთი განუკითხაობისა და დაუფიქრებლობის შედეგს დღეს ის მოქალაქეები იმკიან, რომლებმაც კოოპერატივებში წლების მანძილზე ნაგროვები ფული ჩადეს და ბინას დღემდე ამაოდ ელიან. მათ არც დაუმთავრებელ შენობაში უნებართვოდ შეჭრა შეუძლიათ და არც მხოლოდ კარკასამოშენებული კორპუსის საცხოვრებლად მოწყობის სახსრები აქვთ. დევნილები დაკავებული შენობის დათმობას არ აპირებენ, რადგან მერია მათთვის 200 ათასი ლარის გადამხდელი ნამდვილად არ არის. დევნილთა და კოოპერატივის წევრთა შორის დაპირისპირება კი უფრო და უფრო იძაბება.

მონიტორინგი

# მთავრობის სოციალური პოლიტიკის შეფასებას აზრი არ აქვს

15 სექტემბრისათვის ჯერ კიდევ დადგენილი არაა სოციალური ფონდის ხარჯების ცხრა თვის გეგმა და ფონდი ისევ რვა თვის გეგმების შესაბამისად მუშაობს. თუმცა, რვა თვის ხარჯების გეგმაც ჯერ შორსაა შესრულებისაგან. **ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია 74.8 პროცენტით და გარღვევა შეადგენს 12.4 მილიონ ლარს, სოციალური ადაპტაციის პროგრამები დაფინანსებულია 48 პროცენტით და გარღვევა შეადგენს 1.4 მილიონ ლარს, დასაქმების პროგრამები დაფინანსებულია 43.3 პროცენტით და გარღვევა შეადგენს 2.1 მილიონ ლარს.**

კვლავ არათანაბრად ფინანსდება პენსიები. **მაისის პენსიებში გარღვევა 7.4 მილიონი ლარია, ივნისში - 9.9 მილიონი ლარი, ივლისში - 11.9 მილიონი ლარი, ხოლო აგვისტოში - 13.9 მილიონი ლარი. სექტემბრის პენსიების გაცემა ჯერ არ დაწყებულა. უნდა გაირკვეს, რა ნიშნით ხვდებიან რეგიონები პრივილეგირებულთა შორის.**

გაუცემელია აგვისტოს ძალოვანი სტრუქტურებისა და რეგრესული პენსიები, შესაბამისად, 2.2 მილიონი და 0.7 მილიონი ლარის ოდენობით.

**ჩვენს განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს, ბოლო დროს ტრადიციად ქცეული, უმწეოთა დახმარების დაფინანსების დაგვიანება. გაუცემელია აგვისტოს დახმარება 1.2 მილიონი ლარის ოდენობით.**

მთავრობის სახარჯო და სოციალური პოლიტიკის შეფასებას აზრი არა აქვს. ჩვენ ვერ შევძელით, მოსახლეობისათვის ამ საჭირბოროტო საკითხით მთავრობის ან პოლიტიკური ძალების დაინტერესება.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

პენსიების დაფინანსება 12 სექტემბრისთვის

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

სოციალური ფონდის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ხარჯები 12 სექტემბრისთვის

ათას ლარებში

| დასახელება | [illegible] | ფაქტი | % [illegible] |
|---|---|---|---|
| [illegible] | 49,245 | 36,858 | 74.8% |
| [illegible] | 9,395 | 4,823 | 51.3% |
| [illegible] | 33,234 | 25,950 | 78.1% |
| [illegible] | 5,700 | 5,165 | 90.6% |
| [illegible] | 916 | 901 | 98.3% |
| [illegible] | 2,725 | 1,309 | 48.0% |
| [illegible] | 942 | 84 | 8.9% |
| [illegible] | 1,250 | 804 | 64.3% |
| [illegible] | 133 | 52 | 39.0% |
| [illegible] | 400 | 370 | 92.5% |
| [illegible] | 3,666 | 1,586 | 43.3% |
| [illegible] | 260 | 176 | 67.7% |
| [illegible] | 1,233 | 20 | 1.6% |
| [illegible] | 253 | 15 | 5.9% |
| [illegible] | 560 | 473 | 84.4% |

პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი და პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

აცხადებს

■ პროფესიული სერტიფიცირების მსურველთა მიღებას ACCA-ს პროგრამით.

ინტენსიური მომზადება და გამოცდები 14 წიგნში (პრაქტიკის მქონე სპეციალისტებისათვის - 8 წიგნში). სასწავლებლად მიიღებიან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები და ეკონომიკური პროფილის სტუდენტები.

■ ბუღალტერთა გადამზადებას "სერტიფიცირებული მთავარი ბუღალტრის" საკვალიფიკაციო პროგრამით.

საბუთები მიიღება ა.წ. 20 სექტემბრამდე წერეთლის 61
ტელ: 35 01 57, 98 43 96. მობ: 899 56 78 42

პრესომბუდსმენი

# მომავალ ორშაბათამდე

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

დღეს, მართალი რომ ვთქვა, ომბუდსმენის მოვალეობას ვერ შევასრულებ. მიზეზი უბრალოა: მიუხედავად მრავალი შესაძლო საყვედურისა, რაც შეიძლება ამ ბოლო დროს "24 საათის" მიმართ გამოითქვას, გასული კვირის განმავლობაში გაზეთი მომეწონა...

არა, "შესანიშნავი შვიდეულის" მოტივებზე შეთითხნილ მოპოლიტიკო ლადაობას არ ვგულისხმობ, ბოლოს და ბოლოს, ამის მაგიერ სხვა ბევრი საინტერესო და სულის მარგებელი ამბის გარჩევა შეიძლებოდა: რატომ გასუქდა ასე ულმერთოდ კეტრინ ზეტა ჯონსი, ან რატომ დაემსგავსა ჟულიეტ ბინოში სოფლის დედაკაცს. ისევ ესა ჯობს!

მაგრამ, მე სულ სხვა რამის თქმა მინდოდა და ძირითადად გასული კვირის განმავლობაში გაზეთის პირველ გვერდებზე გამოჩენილ მასალებს ვგულისხმობდი. აი, მაგალითად, **გოგა ოქროპირიძის** ანალიზი — *არშემდგარი ქვეყნის უწარსულო ფავორიტები* (08.09). ნამდვილად აღძრავს მსჯელობის სურვილსა და უამრავ შეკითხვას. საქმე ქართველ ბიუროკრატიას ეხება, რომელსაც ყველა აგინებს და რომელიც სინამდვილეში არ არსებობს. და კიდევ სახელმწიფო კანცელარიას, რომელსაც ასევე ყველა აგინებს და რომელიც ასევე არ არსებობს. პარადოქსია ხომ? — მაგრამ პარადოქსი ტყუილად არ ჩნდება...

კაცმა რომ თქვას, სტატია უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო და უფრო გასაგებიც იქნებოდა. საქმე მარტო ის არ გახლავთ, რომ რიგით მკითხველს გაუჭირდება იმის გაგება, ვინაა "ზაშმაჩნიკი" და რა არის "ბენეფიცია". მაგრამ თუ ავტორი გვარწმუნებს, რომ მინისტრების პოსტებზე მასობრივად (!) სხედან არაპროფესიონალები და ეს, როგორც ეტყობა, წინასწარ ჩატარებული თუნდაც კერძო და არაოფიციალური გამოკვლევის შედეგია, კარგი იქნებოდა რამდენიმე კონკრეტული მაგალითის დასახელება. მით უმეტეს, რომ მოვლენას მასობრივი ხასიათი ჰქონია. არა მგონია ამისათვის სამინისტროში ფარული ვიდეოკამერის შეგზავნა იყოს საჭირო.

აქ კი ერთი იდეა მომივიდა, რომელიც, ვგონებ, გაცილებით უფრო პროდუქტიული უნდა იყოს წინასაარჩევნო პერიოდში, ვიდრე "შესანიშნავი შვიდეულის" მოყირჭებული კადრები. ბოდიშს ვიხდი იდეის სიმარტივისათვის.

რატომ არ მოვიძიოთ და არ გამოვაქვეყნოთ წამყვანი ქართველი ბიუროკრატების კურიკულუმები? — აი, ყოველდღიურ მეტყველებაში "სივის" რომ ვუწოდებთ. მართალია, აქ შეიძლება ერთგვარ სიურპრიზებსაც წავაწყდეთ, რომლებიც, ძირითადად, ორი სახისაა. 1) ზედმეტი ინფორმაცია: მაგალითად, რამდენიმე წლის წინ გამოცემულ ერთ ცნობარში ლევან მამალაძის შესახებ გრაფაში "განათლება" აღნიშნულია: ბოლონიის უნივერსიტეტი. ამ პატივცემული დაწესებულების გამოსაშვებ სიებში ასეთი ლაურეატის გვარი არ არსებობს (მე თვითონ შევამოწმე ელექტრონული საძიებლით 2000 წელს). 2) ინფორმაციული დეფიციტი: რამდენიმე თვის წინ "ცოდნის თეთრ ტაძარში" ერთი კათედრის გამგის სამეცნიერო ნაშრომთა სიის გაცნობა მინდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს საიდუმლო საბუთია.

და მაინც, ამ საქმის დაწყება საჭიროდ მიმაჩნია. მშრალი ინფორმაციის გულუხვი დოზა და ერთი მწიკვი მახვილი კომენტარი ნამდვილად საინტერესო იქნებოდა მკითხველისათვის და თვით ბიუროკრატებსაც ოდნავი ჟრუანტელი არ აწყენდათ. თანაც ამ საქმის პასუხისმგებელი ჟურნალისტიც წამით მაინც მოწყდებოდა ჩვეულ რუტინას და საგანთა არსში ჭვრეტას ისწავლიდა, თორემ ზედაპირული მზერა უკვე ნამდვილად აღარ გვეკადრება. აი, მაგალითად თუნდაც **სოფო ბუკიას** მასალა ავიღოთ — *პოლიტკომპოზიტი "ჟვანიასაакაშვილი" ისტორიის კუთვნილებაა* (09.09). მართალი გითხრათ, არ ვიცი, რას ნიშნავს "პოლიტკომპოზიტი", თუმცა სხვაზე მეტად სწორედ ჟურნალისტი უნდა თხზავდეს ნეოლოგიზმებს. მაგრამ ახლა სულ სხვა რამეს ვგულისხმობ: რა იძლევა ასეთი ხმამაღალი განცხადების საბაბს? თურმე **მიხეილ სააკაშვილის** შემდეგი განცხადება **ზურაბ ჟვანიას** მისამართით: **"დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტმა ხვალ ჟვანიას რომ დაუძახოს, "დემოკრატების" ლიდერი უყოყმანოდ დადგება შევარდნაძის გვერდით"**. ყველაზე მარტივად: *მანამდე არაფერი ეტკინა სააკაშვილს, სანამ შევარდნაძე ჟვანიას არ დაუძახებს.* საქმე რეალურ პოლიტიკურ განცხადებასთან კი არა, რიტორიკულ ფიგურასთან გვაქვს. ცნებამ "შევარდნაძე" უკვე კარგა ხანია დაკარგა რეალური მნიშვნელობა და ერთგვარ პაროლად იქცა. თანდათანობით სულ უფრო ძნელი ხდება, მის უკან მდგომი კონკრეტული ადამიანსა და კონკრეტული ნებისათვის რაიმე მნიშვნელობის მინიჭება. ადამიანიც და ნებაც უკვე მხოლოდ საკუთარი თავისა და ახლობლების გადარჩენაზე ფიქრობს. მაგრამ ცნება "შევარდნაძე" მაინც ცოცხლობს მის მტერთა და მოყვარეთა გონებაში. როგორ? პასუხისათვის ბიბლიას მივმართოთ: "გადაუჭრა გალაადმა *ეფრემს იორდანეზე გადასასვლელი ფონი და როცა რომელიმე გადარჩენილი ეფრემიანი იტყოდა, გაღმა გადამიშვითო, ჰკითხავდნენ, ეფრემიანი ხომ არა ხარო? თუ მიუგებდა: არაო, უბრძანებდნენ: თქვი "შიბოლეთი", ის კი იტყოდა "სიბოლეთი", სხვაგვარად წარმოთქმა არ შეეძლო. მაშინ შეიპყრობდნენ და კლავდნენ*" (მსაჯულთა 12, 5-6). აი, ასეთი "შიბოლეთია" ქართულ პოლიტიკაში სიტყვა "შევარდნაძე". პოლიტიკურ სპექტრში ადგილი იმის მიხედვით ნაწილდება, ვინ როგორი აქცენტითა და ტონით წარმოთქვამს ამ გვარს. ძალიან ხშირად ვუწოდებთ საკუთარ თავს "არშემდგარ სახელმწიფოს" — არა მგონია, პოლიტიკური პრინციპების შესაფასებელი ასეთი მარტივი კრიტერიუმი, რომელსაც ერთნაირად იყენებს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, ჩვენი "შემდგარობის" ხარისხს გაზრდის. სააკაშვილიც მხოლოდ დაიხარა და ქუჩაში ქვასავით დაგდებული რიტორიკული ხერხი ესროლა ჟვანიას. ნამდვილი მიზეზები კი? ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში ჩახედული და ცნობისმოყვარე ადამიანი ახლო წარსულს გამოიკვლევდა.

მგონი, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მრავალი კერძის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი მარილია, თუმცა კი სულ მცირე რაოდენობით შედის კერძის შემადგენლობაში და მასაც ასე გაურკვევლად და თითქმის აგდებით მოიხსენიებენ ხოლმე კულინარულ რეცეპტებში: "მარილი გემოვნების მიხედვით". რას იზამ, გემოვნების არსებობა ყოველთვის თავისთავად იგულისხმება. ვაი რომ, ასეთი თავდაჯერებულობა ყოველთვის არ ეთანხმება რეალობას.

მარილივით ცოტა რამაა საჭირო იმისთვის, რომ გაზეთი ნამდვილად საინტერესო საკითხავი გახდეს, რომ ანალიზური სტატიების სიღრმეს (მადლობა უფალს, არასოდეს გვაკლდა!) ინფორმაციის სიმწვავეც დაემატოს.

ვინც ვერ გაიგო, რას ვგულისხმობ, გადაიკითხოს **ირაკლი ბერიაშვილის** სვეტი — *ჰეროსტრატე* (09.09). მართალია, გურამ შარაძისადმი მიძღვნილი ეს მასალა "ნიუსის" ჟანრს არ განეკუთვნება, მას ერთი მნიშვნელოვანი თვისება ახასიათებს: მარტივი დეტალების მარტივი ანალიზი, მარტივ კითხვებზე მარტივი პასუხი. თანაც ეს ყოველივე სხარტ რიტორიკულ ფორმაშია მოქცეული.

ოდესღაც კარლ ბრიულოვმა თქვა: "ხელოვნება იწყება იქ, სადაც იწყება *ცოტაოდენი*". ალბათ იგივე ითქმის გაზეთზეც.

# საშემოდგომო სესიის დახურვა ახალ პარლამენტს მოუწევს

პარლამენტის პლენარული სხდომა 18 სექტემბერს, ხუთშაბათის შეკრებას კვლავ შეეცდება, მანამდე კი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საპარლამენტო ფრაქციების ლიდერებს შეხვდება და იმ საკითხებზე იმსჯელებენ, რომელთა შესახებ გადაწყვეტილების მიღებაც საკანონმდებლო ორგანომ უნდა შეძლოს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საპარლამენტო არჩევნებამდე 45 დღით ადრე პარლამენტი მუშაობას წყვეტს, თუმცა საშემოდგომო სესია არ იხურება. რეგლამენტის თანახმად, საშემოდგომო სესია ოფიციალურად 20 დეკემბერს უნდა დაიხუროს. ამ პროცედურის შესრულება ახალი მოწვევის პარლამენტს მოუწევს. **მედია-ნიუსი**

## გურჯაანში ფიროსმანის ნახატები ნადგურდება

პირველი გვერდიდან

როგორც სოფლის ეთნოგრაფიული მუზუმის მიერ მოკვლეულ მასალებში ვკითხულობთ, ნიკო ფიროსმანს სოფელთან დიდი ურთიერთობა ჰქონდა. ერთხელაც სოფელში სტუმრობის დროს ნიკალას მასპინძლის დუქანში (ამჟამად საცხოვრებელი ბინა) კედელზე სამი ნახატი შეუსრულებია. ერთი მათგანი დროთა განმავლობაში წაიშალა, ორი კი დღემდე შემონახულია, მაგრამ თუ მას პატრონი არ გამოუჩნდა, შესაძლოა, მათი კვალიც აღარ დარჩეს. ოთახი, სადაც ფიროსმანის შემოქმედებაა, სახლის პატრონმა, თამაზ გაბიტაშვილმა "თივის ზვინებისა" და "ნივრის გალების" სათავსოდ გადააკეთა.

ამ ფაქტის გამო მუზეუმის დირექტორი, ნუნუ კარდენახიშვილი აღშფოთებას ვერ ფარავს და შველას იმ ადამიანებისგან ითხოვს, ვინც ფიროსმანს და მის შემოქმედებას იცნობს: "როდესაც გავიგე ამ სახლში, კედელზე ფიროსმანის მიერ შესრულებული ნახატები იყო, გადავწყვიტე ოჯახის პატრონისთვის მეთხოვა, რაღაცა თანხის საფასურად შენობა სოფლისთვის გადაგვეცა და ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმი გაკეთებულიყო, მაგრამ სახლის იმჟამინდელმა მფლობელმა დიდძალი თანხა მოითხოვა", - ამბობს კარდენახიშვილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით მან არაერთხელ მიმართა დახმარებისათვის რაიონის გამგეობას, მაგრამ უშედეგოდ. თვით გამგეობაში კი აცხადებენ, რომ ამის შესახებ მათ არაფერი იციან: "თქვენგან პირველად ვიგებთ, რომ ფიროსმანის ნახატებია ველისციხეში", - გვითხრა გურჯაანის გამგებლის მოადგილემ შალვა ომსარაშვილმა. თუმცა, საპირისპიროს ამბობენ რაიონის კულტურის განყოფილებაში. მათი თქმით, ჯერ კიდევ ამის შესახებ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ კომუნისტების დროს იცოდა, მაგრამ დღემდე საშუალება ვერ გამოინახა ფიროსმანის ნახატების გადასარჩენად. ნუნუ კარდენახიშვილი კი ხსნის გზად ნახატების ლაზერით ამოჭრას და სახელმწიფო მუზეუმში გადატანას მიიჩნევს.

## სახალხო ზეიმში გადაზრდილი ტურნირი

გუშინ დიდი ლიახვის ხეობაში საკალათბურთო ტურნირის ფინალური ეტაპი გაიმართა. თუმცა, ეს ტურნირი სპორტულ ღონისძიებაზე გაცილებით მეტ დატვირთვას ატარებდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე ხეობაში ასეთი ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი ღონისძიება, რომელშიც დიდი ლიახვის ხეობის ყველა სოფლის გუნდი და, სხვათა შორის, ოსი ეროვნების კალათბურთელებიც მონაწილეობდნენ, პირველად გაიმართა.

"ვინც ლიახვის ხეობის მოსახლეობის პრობლემებს კარგად იცნობს, მისთვის გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მსგავს ღონისძიებას რეგიონის მცხოვრებთათვის, - განაცხადა ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერმა გიორგი ბარამიძემ, რომელიც ღონისძიებაზე ტურნირის ორგანიზატორებმა, დიდი ლიახვის ხეობის "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" მიიწვიეს, - მხარე, რომელიც, ფაქტობრივად, ცენტრის მიერ სრულიად მიტოვებულია და დღემდე ქართულმა სულისკვეთებამ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით მოაღწია, დიდ ყურადღებას და მოვლა-პატრონობას საჭიროებს".

მართლაც, სამაჩაბლოს ქართული სოფლების ზოგად პრობლემებს კონფლიქტისპირა რეგიონის საკმაოდ რთული პოლიტიკური ფონი კიდევ უფრო ამძაფრებს. შესაბამისად, პოლიტიკისგან ასე თუ ისე დაშორებული ყოველი მოვლენა ხელისუფლებისადმი რწმენადაკარგული აქაური მოსახლეობისთვის ხვალინდელი დღის იმედის დაბრუნების ტოლფასია.

სხვათა შორის, "დემოკრატები" კიდევ ერთ საჩუქარს უმზადებენ ხეობას. უახლოეს მომავალში საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ხეობაში ახალგაზრდობისთვის უფასო სასწავლო ჯგუფებს გახსნის.

ტურნირში, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ცხინვალის მახლობლად განლაგებული "კომანდოსა" და ადგილობრივი პოლიციის გუნდებიც მონაწილეობდნენ. თუმცა, ორივე მათგანი დიდი ანგარიშით დაამარცხა კეხვის გუნდმა, რომელმაც შესაშური ოსტატობა აჩვენა და საბოლოოდ, ხეობის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

ტურნირი თვალსა და ხელს შუა სახალხო ზეიმში გადაიზარდა, მისი დასრულების შემდეგ კი ადგილობრივმა "დემოკრატებმა" კეხვის სკოლას საჩუქრები გადასცეს, ხოლო ტურნირის მონაწილეებს პირადად პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მილოცვა, საპატიო სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები დაურიგეს.

### მოკლედ

#### ზამთრისთვის ჰესები ჯერ მომზადებული არ არის

მოახლოებული ზამთრისთვის ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურად მომზადების მიზნით, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა შეიძლება 4,5 მლნ. ლარი გამოყოს. ამის შესახებ გადაწყვეტილებას ბაზრის აღმასრულებელი საბჭო 18 სექტემბერს დაგეგმილ სხდომაზე მიიღებს.

როგორც "ინტერ-პრესს" ენერგოგენერაციის გენერალურმა დირექტორმა გიგა ჩოგოვაძემ განუცხადა, ჰესების ზამთრისთვის მომზადების აქამდე არსებული ყველა გეგმა დარღვეულია.

"სამწუხაროდ, ზამთრისთვის ჰესები ჯერ არ არის მომზადებული, თუმცა მცირე ტექნიკური სამუშაოების შესრულება ჯერ კიდევ შეიძლება მოესწროს. თუ ბაზრის აღმასრულებელმა საბჭომ თანხის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, ზამთარს ჰესები შედარებით უკეთ მომზადებულები შეხვდებიან" - განაცხადა ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, ბაზრის მიერ გამოყოფილი თანხა ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და გაყიდული ელექტროენერგიის საფასურია, რომელიც ბაზარს ჰესებისთვის ისედაც უნდა მიეცა.

"სათბობ-ენერგეტიკის ახალი მინისტრის მოსვლის შემდეგ მასთან გამართულ პირველივე თათბირზე დაისვა ჰესების ზამთრისთვის მომზადების საკითხი, ამიტომ იმედი მაქვს, ამ მიმართულებით ნაბიჯები აუცილებლად გადაიდგმება," - განაცხადა ჩოგოვაძემ.

რაც შეეხება ჰესებში წყლის არსებულ მარაგს, ჩოგოვაძის განცხადებით, ჰესების უმეტესობა, "ენგურჰესის" გარდა, ზამთარში ჩამონადენ წყალზე მუშაობს, ამიტომ ამ ეტაპზე ძნელია პროგნოზის გაკეთება. **ინტერ-პრესი**

#### "თბილგაზი" ვალის გასტუმრებას აპირებს

ს/ს "თბილგაზი" აგვისტოში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს - 279 ათას დოლარს საერთაშორისო ენერგეტიკულ კომპანია "იტერას" დღეს გადაურიცხავს. ამის შესახებ "ინტერ-პრესს" "თბილგაზში" განუცხადეს.

კომპანიაში ირწმუნებიან, რომ მერიის დახმარებით 279 ათასი დოლარი უკვე მოძიებულია და გაზის მომწოდებელ კომპანიას ეს თანხა პრობლემების გარეშე გადაერიცხება.

ს/ს "თბილგაზს" აგვისტოში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის ვადა დღეს ეწურება. თუ "თბილგაზმა" თანხა ვერ გადაიხადა, თბილისი შეიძლება ისევ გაზმომარაგების გარეშე დარჩეს.

1 სექტემბერს "იტერამ" დედაქალაქს დავალიანების გამო გაზმომარაგება შეუწყვიტა. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე აირის მიწოდება რამდენიმე დღის წინ განახლდა, თუმცა ამ დროისათვის დედაქალაქში აბონენტთა ნაწილს ბუნებრივი აირი ჯერაც არ მიუღია. **ინტერ-პრესი**

#### "ახალ მენეჯმენტს" "თბილგაზი" ოფიციალურად გადაეცემა

30 სექტემბერს ამხანაგობა "ახალ მენეჯმენტს" 10-წლიანი მართვის უფლებით ოფიციალურად გადაეცემა ს\ს "თბილგაზი". ამ დღეს დანიშნულია სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრება, რომელზეც კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევა იგეგმება.

როგორც "ინტერ-პრესს" თბილისის საკრებულოს სათბობ-ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ მინდელმა განუცხადა, აქციონერთა მიერ არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა ახალ დირექტორებს აირჩევს, რომლებიც "ახალი მენეჯმენტის" წარმომადგენლები იქნებიან.

ახალი მმართველების მოსვლისთანავე თანამდებობებიდან ავტომატურად გათავისუფლდებიან "თბილგაზის" ამჟამინდელი ხელმძღვანელები.

წინასწარი ინფორმაციით, "თბილგაზის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე "ახალი მენეჯმენტი" ნოდარ გობიანიძეს დანიშნავს, დისტრიბუციის ნაწილში კი კომპანიას ლევან ფურცელაძე უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

# დღეს, ღამის 11 საათზე

ეკა ხოფერიას ჭორები არ აღიზიანებს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

სტუდიის დიზაინი ცნობილ ამერიკელ დიზაინერს, "ემის" რამდენიმეგზის მფლობელს - ჯონ მეინს ეკუთვნის. ეს კონცეფცია სრულიად ახალია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. სწორედ ჯონ მეინის დიზაინის მიხედვით შეიქმნა ერთი წლის წინ "კურიერის" "საინფორმაციო ოთახის" სტუდია. ახალი სტუდია, რომლის კონცეფცია საგანგებო კვლევის საფუძველზე შეიმუშავეს გადაცემათა საჭიროებების გათვალისწინებით, ძალიან პრაქტიკული და მობილურია და დეკორაციების სწრაფი ცვლის შესაძლებლობას იძლევა.

"ეს არის უნივერსალური სტუდია, რომელიც გაძლევს საშუალებას, მთელი ერთი საათის განმავლობაში სრულიად განსხვავებული ფორმატი შესთავაზო მაყურებელს: იყოს პირისპირ ინტერვიუ, ინტერვიუ ექვს ადამიანთან, აუდიტორიასთან შეხვედრა,.." - ამბობს "ღამის კურიერის" წამყვანი, რომელსაც გადაცემის სამზადისის დროს ვესაუბრეთ.

განახლებული "ღამის კურიერი" ძველისა და ახლის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. გადაცემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე მაყურებლის აქტიური მონაწილეობაა. კვირაში ორჯერ "ღამის კურიერის" სტუმარი მაყურებელია, მაყურებელთან ჩართვებს თამარ ღვინიანიძე და მაია ასათიანი გაუძღვებიან.

თუ აქამდე მაყურებელი ხშირად ვერ ახერხებდა სტუდიასთან ტელეფონით დაკავშირებას, ახლა საკუთარი აზრის გამოთქმას თუ კითხვის დასმას მოკლე ტექსტური შეტყობინებით (10 11-ის აკრეფით) შეძლებს. ეს ტექსტური შეტყობინებები მთელი გადაცემის მსვლელობის დროს იტრიალებს; განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრებას თუ კითხვას კი თავისი წარმდგენი ეყოლება: ნათია აბრამია და ნინო ჯაფიაშვილი.

ამასთან, ყოველი გადაცემის ბოლოს "ღამის კურიერი" დღის ახალი ამბების მიმოხილვასაც შემოგვთავაზებს. დავით ნიკურაძე და თენგიზ გოგოტიშვილი უახლეს ინფორმაციას მიაწოდებენ მაყურებელს საქართველოში და მთელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

როგორც ეკა ხოფერიამ აღნიშნა, გადაცემაში აქტიურად ჩაერთვებიან პრესის ჟურნალისტებიც, რომლებიც ხშირად მიიღებენ მონაწილეობას ამა თუ იმ თემის განხილვაში.

"ღამის კურიერი" განახლებული ფორმატით კვირაში ხუთჯერ გავა ეთერში. აქედან ერთი - აუდიტორიის დღე იქნება. თუმცა, თუ საჭირო გახდა, აუდიტორია დამატებითაც შეიკრიბება.

"ჩვენი ამოცანაა პროგრამა მაქსიმალურად საინტერესო იყოს. ამას გარდა, დღეს, როცა ყველა ადამიანი - პოლიტიკოსიც და არაპოლიტიკოსიც პოლიტიკაზე გელაპარაკება, გინდა, რომ მარტო პოლიტიკოსის მოსაზრებები კი არ მიაწოდო მაყურებელს, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქეთა აზრიც გაიგო. ასე რომ, ჩვენი სტუმარი შეიძლება ნებისმიერი მაყურებელი გახდეს," - გვეუბნება ეკა ხოფერია, რომელიც დღეს უკვე ახალი სტუდიიდან მოგვესალმება და სიურპრიზსაც შემოგვთავაზებს. "ღამის კურიერის" ეკრანზე გამოჩენა კი საბოლოოდ გაფანტავს იმ ჭორებს, ეკრანიდან მისი მცირე ხნით გაუჩინარებას რომ მოჰყვა. თუმცა, ასეთი ჭორები ეკა ხოფერიას არ აღიზიანებს და, კაცმა რომ თქვას, ასეთი დაძაბული სამუშაო გრაფიკის პირობებში ამ ჭორებისთვის არც სცალია, უბრალოდ, ეცინება: "რა ვქნა, ხალხს უყვარს ჭორაობა და მე ხომ ვერ დავუშლი. ფაქტია, რომ 15 სექტემბერს ეთერში ვარ... ტელევიზია, უპირველეს ყოვლისა, გამოსახულებაა. გადაცემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი კადრია. როცა ერთი წუთის განმავლობაში ერთ კადრს, ან კიდევ უარესი, ცუდად გადაღებულ კადრს მაჩვენებენ, ამ გადაცემას, უბრალოდ, აღარ ვუყურებ..."

განახლებული "ღამის კურიერის" პირველ კადრს დღეს ღამის 11 საათზე ვიხილავთ.

# ხალხმა იქლო „ვაჟაობაზე"

პირველი გვერდიდან

**- არჩევნებზე მიდის ხალხი?**

- ჩვენ აქვე გვაქვს არჩევნები, ამოდიან და...

**- ხმას ვის აძლევთ?**

- ჩვენთან ნათელაშვილს აძლევენ ხმას.

ვაჟას სახლთან მისი შვილთაშვილი თამარ რაზიკაშვილი დაგვხვდა, რომელმაც თავის დიდ ბაბუაზე ცოტა რამ გვიამბო.

- ბავშვობიდან მახსოვს ძველი, ვაჟას მამისეული სახლი. ერთი ოთახი იყო და პატარა შესასვლელი ჰქონდა. მერე კომუნისტებმა დაანგრიეს და ეს ააშენეს. ისეთივეა ოღონდ ერთი ოთახი აქვს მომატებული. აქვე იდგა ვაჟას შვილის, ვახტანგის სახლი. ისიც მოანგრიეს და ცოტა ქვემოთ ახალი ააშენეს, სადაც გულქანი ცხოვრობდა.

**- ვაჟას ნივთებიდან თუ არის რამე შემორჩენილი?**

- ტახტები და სადღვებელაა ახალი, დანარჩენი ყველაფერი ვაჟას ნაქონია.

**- ვაჟას ნათესავები თუ ცხოვრობენ სოფელში?**

- აქ ცხოვრობს ვახტანგის შვილიშვილი ალექსი, რომელიც მუზეუმის დირექტორია და მისი ოჯახი. ლევანის შთამომავლობა გორში ცხოვრობს. ვაჟას ქალებს მემკვიდრეები არ ჰყოლიათ.

**- რას გიყვებოდნენ, როგორი ყოფილა დიდი ბაბუა.**

- გულქანმა იცოდა ხოლმე მოყოლა, მამაჩემი ძალიან ფიცხი იყოო. წერის დროს უფლება არ გვქონდა, რომ მის ოთახში შევსულიყავითო. ძალიან კი გვაინტერესებდა, რას აკეთებდა და კარებში ვიჭყიტებოდითო. ვხედავდითო, რომ ვაჟა ბოლთას სცემდა და ერთი და იგივეს იმეორებდაო. ხან ბუხართან ჩაიმუხლებდა და იქ დაიწყებდა წერასო.


ვაჟა-ფშაველას მემორიალი ჩარგალში.

ჯაბა ფარქოსაძის ფოტო

ვაჟას ცოლი, თამარიც ჰყვებოდა. ხშირად შუა მკის დროს ხარებს მიატოვებდა და სახლში გაიქცეოდა ხოლმეო. "სად მიდიხარ, ვაჟაო!"...და..."ჯერ უნდა დავწერო და მერე ამოვალო!" ასეთი რაღაცეები.

ამის შემდეგ ვიკითხეთ კაცი, რომელსაც ვაჟა ემახსოვრებოდა.

"ასეთი კაცი დარჩენილი არ არის, თუმცა შეიძლება იოსებ გარსევანიშვილს ახსოვდეს, მაგრამ ის და მისი ცოლი მარტო ცხოვრობენ ზემოთ, მთაში და მას შემდეგ, რაც სამი ვაჟი დაეღუპათ, საზეიმოდ აღარ ჩამოდიან," – გვითხრეს სოფელში.

იოსების სახლი სოფლის ცენტრიდან არ ჩანს, მაგრამ მის კარმიდამოში სამი დიდი ხე გაზრდილა და ჩარგლელებიც იქითკენ იშვერენ ხელს, აი, იმ სამ ხესთან ცხოვრობს იოსებიო.

# ეს ტაძარი საუკუნეებს გაუძლებს!

თამარ დვალი

*სოფელ ბაშში თითქმის ერთი საუკუნეა წირვა-ლოცვა აღარ ჩატარებულა. ადრე სოფელს ხუთი ეკლესია ჰქონდა, რომელიც კომუნისტებმა დაანგრიეს. ორი დღის წინათ სოფლის მოსახლეობამ მარიამ ღვთისმშობლის მიძინებისა და წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის კურთხევა იზეიმა. ახალი ტაძარი მამა ზენონმა, ხონის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე საბამ და სხვა მღვდელმთავრებმა აკურთხეს.*

"სოფელი ბაში ხაზარაძეების უძველესი სამკვიდროა. ჩვენი სურვილი იყო სოფელში ისეთი ტაძარი აგვეგო, როგორსაც ჩვენი წინაპრები აშენებდნენ. ტაძრის მშენებლობა ოთხი წლის წინათ საქართველოს პატრიარქისა და მეუფე საბას კურთხევით დაიწყო. საუკუნეზე მეტია საქართველოში ამ ტექნოლოგიით ტაძარი აღარ აგებულა, მასიური ქვით მხოლოდ ჩვენი წინაპრები აშენებდნენ. ახლა ტაძრებს, ძირითადად, ქვით აპირკეთებენ. ამით მშენებლობის შეჩერებას არ ვაპირებთ და სურვილი გვაქვს აქვე დავაარსოთ დედათა მონასტერი. ორ წელიწადში ამავე ეზოში აიგება კიდევ რამდენიმე ნაგებობა, მათ შორის კელიებიც," – გვითხრა მშენებლობის ორგანიზატორმა "თი-ბი-სი ბანკისა" და "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიის პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ. მისივე თქმით, იგი "ახალ მემარჯვენეებთან" ერთად ახლო მომავალში ფოკას მონასტრის რესტავრაციას აპირებს. თუმცა, მიიჩნევს, რომ ეს ერთობლივი ქველმოქმედება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი სულაც არ იქნება.

დიდი ხანია, მსგავსი ქვითა და სახურავით საქართველოში არცერთი ტაძარი აღარ აგებულა.

ჯაბა ფარქოსაძის ფოტო

სოფელ ბაშში 500-მდე კომლი ცხოვრობს. პატარა სოფლის მაცხოვრებლებს ყველაზე მეტად ხშირი წვიმები და წყალდიდობები აწუხებთ. თავიანთი სოფლიდან წასული ხალხის წარმატებები კი საამაყოდ აქვთ და მათზე დიდ იმედებსაც ამყარებენ. "ახალი ტაძრის აშენებამ ჩვენ სოფელს უდიდესი სიხარული მოუტანა. მშენებლობის დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო დასაქმებული. ამიერიდან შესაძლებლობა გვექნება ჩვენივე სოფელში ვეზიაროთ და დავესწროთ წირვა-ლოცვას, ჩვენი სახელოვანი შვილები კიდევ ბევრ კარგ საქმეს გვპირდებიან და ჩვენ გვჯერა, რომ ისინი დანაპირებს ასრულებენ, " – აცხადებენ გახარებული ბაშელები.

ტაძრის მშენებელი არქიტექტორის დავით სვანიძის თქმით, ქაშუეთის ეკლესიის აგების შემდეგ მსგავსი ქვითა და სახურავით საქართველოში არცერთი ტაძარი აღარ აგებულა. "ტაძრის აგებისას ჩვენ გამოვიყენეთ ისეთი იშვიათი ქვა, როგორიცაა ლორფინი. ამით დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია, გავიმეოროთ ის, რასაც ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ. ეს არის დარბაზული ტიპის ეკლესია, მინაშენით და კარიბჭით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მასალით ნაგები ტაძარი საუკუნეებს გაუძლებს. ტაძრის კედლები გარედან ძველი ქართული ორნამენტებით არის შემკული. ბოლო 200 წელიწადია, საქართველოში ტაძარი ქვით აღარ გადახურულა. ხომ არსებობს ლამაზი გალობა, ესეც ერთგვარი გალობაა, გალობა ქვაში."

### წინასაარჩევნო დაძაბულობამ წინანდალიც ააფორიაქა

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის - მიხეილ სააკაშვილის თელავის რაიონის სოფელ წინანდალში ჩასვლას სააკაშვილის მომხრე და სახელისუფლებო ბლოკის მომხრე სოფლის მოსახლეობას შორის დაპირისპირება მოჰყვა. მიხეილ სააკაშვილმა დარბაზში დაძაბული სიტუაციის განმუხტვის უშედეგო მცდელობის შემდეგ წინანდლის კულტურის სახლი დატოვა.

დაპირისპირების მიზეზი წინანდლის ღვინის ქარხნის ყოფილი დირექტორისა და "ნაციონალური მოძრაობის" თელავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის - თამაზ ხიდაშელის გამოსვლა გახდა. მან იმ ადამიანების სია წარმოადგინა, რომლებმაც გასულ წლებში ქარხნის აუქციონზე გაყიდვას შეუშალეს ხელი და იგი ქარხანას ჩამოაშორეს. აღნიშნულმა განცხადებამ დარბაზში მყოფი იმ ადამიანების პროტესტი გამოიწვია, რომლებიც ხიდაშელმა საკუთარ გამოსვლაში მოიხსენია.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა წინანდლელებს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერისკენ მოუწოდა. "დაგიბრუნებთ გაყინულ პენსიებს, გაგათავისუფლებთ გადასახადებისგან, თუ ჩვენ აგვირჩევთ. თუ 2 ნოემბერს მოხვალთ არჩევნებზე, ამით ჩვენ დავამხობთ არსებულ დიქტატურას" - განაცხადა მან.

*ინტერ-პრესი*

### საოლქო სასამართლომ "ლეიბორისტთა" სარჩელი არ დააკმაყოფილა

საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის - ნანა დევდარიანის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ცესკო-ს თავმჯდომარის განკარგულება, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების დანიშვნის შესახებ, სამართლებრივად დაცულ რეჟიმში იყო გამოცემული, რადგან ცესკო-ს თავმჯდომარე საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს ცესკო-ს შემადგენლობის 2/3-ის მხარდაჭერით ნიშნავს.

როგორც "ინტერ-პრესს" "ლეიბორისტთა" ადვოკატმა შალვა ნიაურმა განუცხადა, ცესკო-ს თავმჯდომარემ წარდგენილი კანდიდატურები ობიექტურად არ შეაფასა და სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილებაც პოლიტიკურია და არა სამართლებრივი.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

"საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" ცესკო-ს თავმჯდომარის - ნანა დევდარიანის იმ განკარგულების გაუქმებას მოითხოვდა, რომლის მიხედვითაც, "ლეიბორისტთა" განმარტებით, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები ნანა დევდარიანის ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე დაინიშნენ. *ინტერ-პრესი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ჯვართამაღლების დღესასწაულზე 27 სექტემბერს მიუნხენის წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, მღვდელ მამუკა თავხელიძეს, ქართულ მრევლთან ერთად დაგეგმილი აქვს სოხუმის დაცემის ათი წლისთავის აღნიშვნა. ამ მიზნით იგი თბილისში ვეტერან მეომართა გაერთიანებას „ქართულ ლიგას" დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა. გიორგი ყარყარაშვილი და კახა გველესიანი მამა მამუკას დაპირდნენ, რომ ფოტო, ვიდეო და ფაქტობრივ მასალებს მიაწოდებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II სამღვდელოებასთან ერთად დიდგორის ველზე წმიდა დავით აღმაშენებლის ახლად ნაკურთხ ტაძარში პარაკლისი აღავლინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კახეთის მოქმედ ქრისტიანულ ეკლესიებს კიდევ ერთი – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი შეემატა. თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში აღდგენილი ეკლესია ამბა - ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა (მახარაძე) ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აკურთხა. ეკლესიის კურთხევას რაიონის ხელმძღვანელობა და მრევლი დაესწრნენ. ტაძარში იმ დღესვე პირველი წირვა შესრულდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წმიდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში სენაკისა და ჩხოროწყუს ახალნაკურთხმა ეპისკოპოსმა შიომ (მუჯირი), ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოს გრიგოლთან (ბერბიჭაშვილი), ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოს გერასიმესა (შარაშენიძე) და ხონის ეპისკოპოს საბასთან (გიგიბერია) ერთად სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღავლინა.

იმავე დღეს სენაკის რაიონის სოფელ სორტში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის საძირკველი იკურთხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოსა და რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს რუსთავში მცხოვრები 21 წლის ავთანდილ ბარათაშვილი, რომელმაც რუსთავში ფიროსმანის ქუჩაზე დიდი ოდენობით მაღალი ძაბვის ელექტროსადენები მოიპარა. ნივთმტკიცება ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ადვილი შესაძლებელია, "ინტერის" ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ მონაწილეობა არ მიიღოს ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის შეხვედრაში ლონდონის "არსენალის" წინააღმდეგ. ვიერი სერბებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრაში დაშავდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მარსელის "ოლიმპიკის" ფეხბურთელი, სავარაუდოდ, გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის სასტარტო შეხვედრას მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ. დროგბას საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში "ლე მანის" წინააღმდეგ ფეხი გადაუბრუნდა. "ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა. ამასთან, რაციონალურად ვითამაშეთ - განაცხადა "ოლიმპიკის" მწვრთნელმა ალენ პერენმა. - 5:0 გამარჯვებამ ჩვენს თავდამსხმელებს "რეალთან" მატჩის წინ თავდაჯერება უნდა შეჰმატოს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ დროგბას ფეხი გადაუბრუნდა და ამ მატჩში მისი მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "დეტროიტ პისტონსმა" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა 18 წლის სერბ კალათბურთელ დარკო მილიჩიჩთან, რომელიც წლევანდელ დრაფტზე მე-2 ნომრად აირჩია. ამ კონტრაქტით მილიჩიჩი 11 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. მილიჩიჩის ყოფილმა კლუბმა "გემოფარმ ვრსაკმა" განაცხადა, რომ კალათბურთელი კლუბთან კონტრაქტით 2009 წლამდე არის დაკავშირებული და სასამართლოში სარჩელი აღძრა, მაგრამ სასამართლომ კალათბურთელს დაუჭირა მხარი. ეს სასამართლო პროცესი ერთადერთი მიზეზი იყო, რომელიც კონტრაქტის გაფორმებას აყოვნებდა.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** სიდნეის ტრადიციულ მარათონზე, რომელიც გუშინ გაიმართა, ტანზანიელი მორბენლების უპირატესობა აშკარა იყო. ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიგეს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შეჯიბრებები. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ოსვალდ რეველიანმა - 2 საათი, 26 წუთი და 30 წამი. მეორე და მესამე ადგილები ავსტრალიელებმა პოლ არტურმა (2:31,28) და ჯერემი ჰორნმა (2:33,27) დაიკავეს. ქალთა თანრიგში საუკეთესო იყო ტოსი იუმი - 2:46,25. კვარცხლბეკის დანარჩენი ორი ადგილი ისევ მასპინძლებმა - ჰელენ ვირიტი ტოლჰერსმა (2:58,58) და კერენ რაიანმა (3:05,59) დაიკავეს.

■ ■ ■

**ძიუდო.** იაპონიის ქალაქ ოსაკაში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლად იასპარეზა კიდევ ორმა ქართველმა ძიუდოისტმა. დავით მარგოშვილმა (66 კგ) და დავით ქევხიშვილმა (73 კგ) ორ-ორი შეხვედრის მოგების შემდეგ გადამწყვეტი ბრძოლები წააგეს და ტურნირს გამოეთიშნენ.

სამწუხაროდ, პირველივე შერკინება წააგო ნესტორ ხერგიანმა (60 კგ). რაც შეეხება აბსოლუტურ წონით კატეგორიას, ქართველებს აქაც მოეცარათ ხელი. რამაზ ჩოჩიშვილი რუმინელ გაბრიელ მუნტიანუსთან დამარცხდა და უსახელოდ დატოვა ოსაკას ტატამი.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** პოლონეთის ქალაქ ლოძის საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზა ქართველმა ჩოგბურთელმა ნინო შოვნაძემ, რომელიც პოლონეთის სახელით გამოდის.

შოვნაძემ ტურნირში მონაწილეობა დაიწყო საკვალიფიკაციო ეტაპიდან და სამი შეხვედრის შემდეგ ძირითად ბადეში მოხვდა. ფინალამდე ოთხი მატჩი მოიგო და ფინალში ჩეხ ემილია რიჩეკს დაუპირისპირდა.

სამწუხაროდ, ფინალური მატჩისთვის ნინოს ძალები არ ეყო და გამარჯვება ჩეხ ჩოგბურთელს დაუთმო (6:2; 0:6; 6:4). *ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და პარლამენტარი ჯანო ბაგრატიონი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. მას გადაწყვეტილი აქვს, მთელი ძალა და ენერგია ოლიმპიურ თამაშებსა და სპორტს შეალიოს და პოლიტიკაში მოღვაწეობას საერთოდ თავი დაანებოს.

"მე დიდი იმედით მივედი პარლამენტში. მქონდა სერიოზული და პერსპექტიული გეგმები, მაგრამ ავადმყოფობისა თუ სხვა მიზეზების გამო ვერ განვახორციელე. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკაში ჩემი მოღვაწეობა წარუმატებელი გამოდგა, თუმცა, მაინც დიდი გამოცდილება შევიძინე, რასაც სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში გამოვიყენებ", - განაცხადა ჯანო ბაგრატიონმა.

ჯანო ბაგრატიონი, საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, ურჩევს მოქმედ ქართველ სპორტსმენებს, ამ ეტაპზე თავი შეიკავონ პოლიტიკაში მოსვლისგან. ჯერ დაასრულონ კარიერა და შემდეგ, საითაც გული გაუწევთ, იქით წავიდნენ. ბაგრატიონი გულისხმობს მოკრივე გიორგი კანდელაკსა და ძალოსან გიორგი ასანიძეს, რომლებიც მომავალ საპარლამენტო არჩევნებში აპირებენ კენჭისყრას. *ინტერ-პრესი*

■ ■ ■

**ფრენბურთი.** ბათუმში, საზოგადოება "ბარცხანელის" ინიციატივით, ჩატარდა ტურნირი პლაჟის ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ქალთა 13 და ვაჟთა 25 წყვილი.

ქალთა შორის ტურნირის ფინალში ნინო მაჭავარიანმა და თამთა დანელიამ მოუგეს მარია ქორიაშვილსა და ალვინა სიმონიანს - 2:1.

საინტერესო გამოდგა ვაჟთა ფინალური შეხვედრაც, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დურმიშხან და სოსო დუმბაძეებისა და ტარიელ და ნაილ დუმბაძეების წყვილი. ფინალური შეხვედრა დასრულდა დურმიშხან და სოსო დუმბაძეების გამარჯვებით - 3:0.

აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და საზოგადოება "ბარცხანელმა" გამარჯვებულებსა და პრიზიორებს მედლები და ფასიანი საჩუქრები გადასცა. *ინტერ-პრესი*

## ფეხბურთი

# ალბანეთის შემდეგ

"თბილისს" ჯანელიძემ ვერ უშველა

მიხეილ აბაიშვილი

დასრულდა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მორიგი ტურით გამოწვეული არდადეგები და ორი დღის წინ განახლდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელმაც ორდინარულ ვითარებაში ჩაიარა. თუმცა, იყო მოულოდნელობებიც.

მე-7 ტურის მთავარი მოულოდნელობა, რაც ერთგვარად სენსაციადაც კი მოინათლა, ოზურგეთში დაფიქსირდა, სადაც ლიგის დებიუტანტმა, ადგილობრივმა "მერცხალმა" ქვეყნის ექს და ვიცე-ჩემპიონს, ქუთაისის "ტორპედოს" უმასპინძლა. თუ გავითვალისწინებთ, რომ "მერცხალი" გამოკვეთილი აუტსაიდერია და ბოლო ტურის შეხვედრა "დინამოსთან" გამანადგურებელი ანგარიშით (1:8) დათმო, "ტორპედოს" 3 ქულის აღება არ უნდა გასჭირვებოდა. თუმცა, ოზურგეთელებმა მთელი 90 წუთის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოლეს და, მართალია, სტუმართა კარი ვერ დალაშქრეს, მაგრამ გოლი არც მეტოქეს გაატანინეს და ქულათა საკუთარ, საკმაოდ მწირ მარაგს, კიდევ ერთი ქულა შემატეს.

საინტერესო შეხვედრას უმასპინძლა "ლოკომოტივის" სტადიონმა, სადაც რეზო არველაძის შეგირდები ფოთის "კოლხეთს" დაუპირისპირდნენ. ამ გუნდებს შორის სატურნირო ცხრილში 3-ქულიანი სხვაობა და 2 საფეხური იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ რკინიგზელებს, წარმატების შემთხვევაში, მეტოქესთან წამოწევის კარგი შანსი ექნებოდათ. ასეც მოხდა, თუმცა, იმის თქმა, რომ "ლოკომოტივმა" უზრუნველი 3 ქულა მიითვალაო, არ იქნება მართალი. შეხვედრამ, რომლის პირველი ტაიმიც უგოლოდ დასრულდა, უშეღავათო ბრძოლაში ჩაიარა. მეორე ტაიმის დებიუტში სტუმრებმა საკუთარ საჯარიმოში მოცელეს გიორგი მიქაძე. დაინიშნა პენალტი, რომელიც დაზარალებულმა ზუსტად შეასრულა და ანგარიში გახსნა. თუმცა, ძალიან მალე ანალოგიური ვითარება შეიქმნა უკვე "ლოკომოტივის" კართან, მაგრამ ფოთელმა ვალერი გაგუამ თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა, რაც, პირველ რიგში, "ლოკომოტივის" ახალი ძირითადი მეკარის სოსო გრიშიკაშვილის დამსახურებაა.

დარჩენილ დროში ზღვისპირელები გამუდმებულ იერიშებზე გადავიდნენ, ზურგი მოაშიშვლეს და მატჩის მიწურულს კონტრშეტევა გაეპარათ, რაც დავით სირაძის გოლით დასრულდა.

ანალოგიური ანგარიშით გაიმარჯვა "ვიტ ჯორჯიამაც". ვეტერინარებმა "სპარტაკს" სძლიეს და ერთი დღით სატურნირო ცხრილს ეულად ჩაუდგნენ სათავეში, რადგან მეორე ლიდერი, თბილისის "დინამო", ტურის დასკვნით მატჩს გუშინ თამაშობდა.

შუშაკის შეგირდები "შევარდენის" სტადიონზე "თბილისს" დაუპირისპირდნენ. ამ შეხვედრაში მთავარი სიახლე ის იყო, რომ "თბილისს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე ჩაუდგა სათავეში. სხვათა შორის, ჯანელიძე სწორედ "დინამოს" "სპეციალისტად" ითვლება, რადგან მიერ მის გაწვრთნილ გუნდებს საქართველოს 11-გზის ჩემპიონი არაერთხელ გაუმწარებიათ. თუმცა, ამჯერად ჯანელიძემ და მისმა გუნდმა ვერაფერი გააწყვეს. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა აღინიშნა და ერთი გოლის გაშვების (მელქაძე, 43`) მიუხედავად, მასპინძლებსაც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მეორე ნახევარში ნათელი გახდა, რომ ფიზიკურად გაცილებით უკეთ მომზადებულ "დინამოს" "თბილისი" წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ჯერ ბობოხიძემ, ხოლო შემდეგ დარასელიამ 55-ე და 73-ე წუთებზე ანგარიში 3:0 გახადეს, ხოლო ტრავმამოშუშებულმა რატი ალექსიძემ მინდორზე დაბრუნება 82-ე წუთზე გოლით აღნიშნა. "დინამომ" დამაჯერებელი ანგარიშით, 4:0 გაიმარჯვა.

**მე-7 ტური**

*13 სექტემბერი*

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია - სპარტაკი | 2:0 |
| ლოკომოტივი - კოლხეთი | 2:0 |
| მერცხალი - ტორპედო | 0:0 |
| სიონი - ბათუმი | 1:0 |
| მცხეთა - დილა | 0:1 |

*14 სექტემბერი*

**თბილისი - დინამო 0:4**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 7 | 5 | 1 | 119-3 | | 16 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 115-4 | | 16 |
| სიონი | 7 | 4 | 2 | 1 9-5 | | 14 |
| დილა | 7 | 4 | 1 | 2 9-5 | | 13 |
| ტორპედო | 7 | 3 | 2 | 2 6-5 | | 11 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 1 | 310-9 | | 10 |
| კოლხეთი | 7 | 3 | 1 | 3 8-8 | | 10 |
| თბილისი | 7 | 2 | 1 | 48:13 | | 7 |
| მცხეთა | 7 | 2 | 1 | 47-16 | | 7 |
| ბათუმი | 7 | 2 | 0 | 54:10 | | 6 |
| მერცხალი | 7 | 1 | 2 | 46:17 | | 5 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 1 | 54:18 | | 4 |

# მათამაშეთ, თორემ წავალ! - იმუქრება რივალდო

რივალდომ "მილანი" გააფრთხილა, რომ შეიძლება დატოვოს კლუბი, რადგან არ სურს, ბრაზილიის ნაკრებში ადგილი დაკარგოს. თუ კარლო ანჩელოტი გააგრძელებს ბრაზილიელი ფეხბურთელის უგულებელყოფას, ვარაუდობენ, რომ რივალდო უკვე იანვარში სამშობლოში გადაბარგდება.

"მე პატივს ვცემ "მილანს" და ჩემს თანაგუნდელებს. პატივს ვცემ გუნდის მწვრთნელსა და მის გადაწყვეტილებებს. მაგრამ თუ მე ისევ სათადარიგოთა სკამზე მომიწევს ჯდომა, ამან შეიძლება მაიძულოს, მოვძებნო კლუბი, სადაც ძირითად შემადგენლობაში ადგილს გამომინახავენ. ტრავმის გამო შარშანდელი სეზონი სათადარიგოთა სკამიდან დავიწყე, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების შესახებ მწვრთნელს ვესაუბრე. თუ რეგულარულად არ ვითამაშებ, მაშინ, ადვილი შესაძლებელია, ეროვნულ ნაკრებშიც იგივე დამემართოს, რაც "მილანში". ფიზიკურად შესანიშნავ ფორმაში ვარ და შემიძლია, პირველიდან უკანასკნელ წუთამდე ისე ვითამაშო, რომ ჩემს კრიტიკოსებს ხმა ჩავაგდებინო".

კარლო ანჩელოტი კი აცხადებს, რომ არ შეუძლია, რომელიმე ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი მისცეს.

"არ შეიძლება, რომელიმე ფეხბურთელს ძირითადში ადგილი დაუჯავშნო. გუნდში უამრავი კარგი ფეხბურთელი მყავს და ამის გარანტია არც ერთ მათგანს არა აქვს. რივალდომ თავისი საუკეთესო თვისებები ვარჯიშზე უნდა მიჩვენოს და დამიმტკიცოს, რომ სწორედ ის უნდა გავიდეს მინდორზე".

ამასობაში პრესაში ასახელებენ "პალმეირასს", კლუბს, რომელშიც, სავარაუდოდ, შეიძლება რივალდო გადავიდეს. თუმცა, ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ რივალდო კლუბთან კონტრაქტს გაწყვეტს და თავისუფალი აგენტი გახდება.

# პანუჩი ავტოკატასტროფაში მოყვა

პარასკევს კრისტიან პანუჩი ავტოკატასტროფაში მოყვა. "რომას" მცველი დიდად არ დაზიანებულა, მაგრამ ქალმა და ორი წლის ბავშვმა, რომლებიც მეორე მანქანაში ისხდნენ, უფრო სერიოზული დაზიანება მიიღეს. თვითმხილველთა თქმით, ქალბატონის მანქანა საწინააღმდეგო მხარეს გადავიდა და მხოლოდ პანუჩის რეაქციამ იხსნა ისინი უფრო სერიოზული ავარიისგან.

ავტოსაგზაო შემთხვევა "რომასთვის" პირველი არ არის. აგვისტოში ფრანცისკო ლიმა დილის ექვს საათზე შეეჯახა გაჩერებულ მანქანებს. შარშანდელ სეზონში კი ჯონათან ძებინა ვენსან კანდელას მანქანით დილაადრიან ავარიაში მოყვა. უფრო ადრე სიჩქარის გადაჭარბებისთვის ვინჩენცო მონტელა დააჯარიმეს, ანტონიო კასანოს კი საერთოდ ჩამოართვეს მართვის მოწმობა, რადგან მოტოციკლს მუზარადის გარეშე მართავდა.

## კრივი

# დე ლა ჰოია ისევ გაილახა

ოსკარ დე ლა ჰოია თანდათან ემსგავსება საპნის ბუშტს, რომელიც სულ უფრო ხშირად სკდება. სახელგანთქმულმა მექსიკელმა 69,3 კგ. წონით კატეგორიაში, WBC და WBA ვერსიებით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა შეინ მოსლისთან კიდევ ერთხელ წააგო. სამივე მსაჯმა მოსლის მიანიჭა უპირატესობა.

მოსლი მთელი ბრძოლის განმავლობაში მეტოქეზე სწრაფიც იყო და ძლიერიც. ის მექსიკელს საშუალებას არ აძლევდა, გამოეყენებინა საფირმო დარტყმა - მარცხენა ჰუკი, რომლითაც დე ლა ჰოია ძველ მეტოქეებს ნოკაუტში აგდებდა.

შედეგად, სამივე მსაჯმა ჩათვალა, რომ მოსლიმ მოიგო - 115:113. მოსლის უპირატესობა განსაკუთრებით უკანასკნელ რაუნდებში იგრძნობოდა.

"მე ვიცი, რომ ერთი ან ორი რაუნდით მეტი მოვიგე. ამან მომანიჭა ძალიან დიდი თავისუფლება, რომელიც სიამოვნებით გამოვიყენე. ჩემი დარტყმებით მე მას მუდმივად ვაწუხებდი, ის კი - არა", - მატჩის შემდეგ განაცხადა შეინ მოსლიმ.

წაგების მიუხედავად, დე ლა ჰოიამ ამ ჩხუბზე 17 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, შეინ მოსლიმ კი - მხოლოდ 5. ჯერჯერობით რევანშზე არ საუბრობენ. დამარცხების შემთხვევაში დე ლა ჰოია კარიერის დასრულებას აპირებდა. ეს უკვე მოხდა. ახლა საბოლოო სიტყვა მექსიკელზეა.

## TV-სპორტი

**ორშაბათი. 15 სექტემბერი**

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00, 16:55 თავისუფალი დარტყმა.
13:25 უკრაინის ჩემპიონატი: "შახტარი" - "ჩერნომორეცი"
15:10 იტალიის ჩემპიონატი: "კიევო" - "იუვენტუსი"
17:10 გერმანიის ჩემპიონატი: "კაიზერსლაუტერნი" - "ფრაიბურგი"
18:55 ესპანეთის ჩემპიონატი: "ალბასეტე" - "ბარსელონა"
20:40 "ტოტალიზატორი". რუსეთის ჩემპიონატი. 25-ე ტური
20:55 საფეხბურთო უიქ-ენდი
21:40 ხვალინდელი დღის პროგრამა
21:45 ბრაზილიის ჩემპიონატი: "ფიგეირენსე" - "სან პაულუ"
23:25 საერთაშორისო ტელეჟურნალი "FUTBOL MUNDIAL"
23:55 ინგლისის ჩემპიონატი: "ლესტერი" - "ლიდსი". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**

11:00, 17:15, 20:15, 22:00 პრესცენტრი.
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები".
11:20 აერობიკა.
11:45 თავისუფალი ჭიდაობა. აშშ. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებაზე (13:00) პრესცენტრი
16:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. მატჩი მესამე ადგილისთვის.
17:30 საჭადრაკო მიმოხილვა
18:00 "რკინის ფაქტორი"
18:45 კალათბურთი. WNBA-ის ჩემპიონატი. ფინალი. მეორე მატჩი
20:30 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ფინალი
22:20 ხვალინდელი პროგრამა
22:30 პროფესიული კრივი. ოსკარ დე ლა ჰოია - შეინ მოსლი
00:30 ამერიკული ფეხბურთი: "მინესოტა" - "ჩიკაგო". შესვენებაზე (00:15) ახალი ამბები

**EUROSPORT**

11:30 სპორტი და ძრავები. სერიები
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალია
13:00 ფეხბურთი. დენონის თასი
13:30 მოტოკროსი. საფრანგეთი. მსოფლიო ჩემპიონატი
14:30 კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ
16:30 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი გერმანია
17:30 ველორბოლა. ესპანეთის ტური
20:30, 22:30 მულტისპორტი
21:00, 22:00 მძლეოსნობა. მონაკოს გრან-პრი
23:00 კ 1. მსოფლიო გრან-პრი. აშშ
01:00 ფეხბურთი. ევროგოლები
02:30 ევროსპორტის სიახლენი
02:45 მოტორბოლა
04:15 ევროსპორტის სიახლენი

## კალათბურთი

# ევროპის სამგზის ჩემპიონი - ლიტვა!

პირველი გვერდიდან

იტალიელებმა ფრანგებს 69:67 მოუგეს.

ფინალში, რომელშიც ლიტველები ესპანელებს დაუპირისპირდნენ, უცხოური პრესა სწორედ მათ მეტოქეს მიიჩნევდა ფავორიტად.

უცხოური პრესა შეცდა: ლიტვის ნაკრები მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა. პირველივე წუთებიდან მიჰყავდა ანგარიში, საბოლოოდ კი 93:84 მოიგო. სტოკჰოლმის "Globen"-ის სპორტულ დარბაზში მომხდარს ბევრმა სენსაციაც კი უწოდა. იყო თუ არა ლიტველების გამარჯვება სენსაცია, ეს ალბათ სხვა საუბრის თემაა. ფაქტი კი ერთია: არც ესპანელთა ვარსკვლავის, "მემფის გრიზლის" მოთამაშე პო გაზოლის მიერ მოგროვებული 36 ქულა და არც სხვა მისი თანაგუნდელების გარჯა აღმოჩნდა საკმარისი ლიტვის ნაკრების დასამარცხებლად. ლიტველთა მხრიდან ფინალურ მატჩში საუკეთესოები იყვნენ არვიდას მაჩიჯაუსკასი და ეურელიუს ჟუკაუსკასი, რომლებმაც, შესაბამისად 21 და 18 ქულა მოუტანეს თავიანთ გუნდს.

ზოგისთვის ეს სენსაცია იყო, ზოგისათვის კი კანონზომიერება, ერთი რამ კი ფაქტია – ევროპის 2003 წლის ჩემპიონატზე ლიტვის ნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა.

მესამე ადგილისათვის მატჩში კი იტალიელებმა, ლიტვის მიერ ნახევარფინალურ შეხვედრაში დამარცხებულ ფრანგებს მოუგეს და ოლიმპიადის საგზურებიც მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის სამივე პრიზიორი ოლიმპიურ თამაშებზე ავტომატურად, საკვალიფიკაციო ტურნირის გარეშე მოხვდებიან.

### ნახევარფინალები

**საფრანგეთი - ლიტვა 70:74**

ლიტვის ნაკრებმა წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე ფანტასტიკური ტურნირი ჩაატარა და ფინალშიც დამსახურებულად გავიდა. უაღრესად დაძაბული გამოდგა შეხვედრა საფრანგეთის ნაკრებთან, რომელსაც სპეციალისტები ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ. ანტანას სირეიკას შეგირდები მეტოქეზე უფრო მობილიზებულნი აღმოჩნდნენ. ფრანგებმა მატჩის უკანასკნელ წუთზე ორი მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს. ჯერ აბდულ ვახადმა უზუსტო სამქულიანი შეასრულა, შემდეგ კი სონკო შეცდა და ბოლო წუთისთვის ლიტვის ნაკრები - 72:70-ს იგებდა.

თუმცა, უკანასკნელი შეტევისას ლიტვის ნაკრებმა ვერ მოახერხა, 24 წამში ეტყორცნა და ბურთი მეტოქეს გადაულოცა. მატჩის დასრულებამდე 15,9 წამით ადრე ბურთს საფრანგეთის ნაკრები დაეუფლა. ტაიმ-აუტის შემდეგ თანაგუნდელებს შეტევაზე NBA-ის ჩემპიონი ტონი პარკერი გაუძღვა, მაგრამ ხისტი პრესინგის გამო ბურთი დაკარგა. სონკი იძულებული გახდა, დაჯარიმებულიყო, რათა გუნდისთვის ბურთი მოეპოვებინა. ფრანგებისთვის სამწუხაროდ, შიშკაუსკასმა ორივე საჯარიმო ზუსტად შეასრულა და თამაშის დამთავრებამდე 6,9 წამით ადრე ლიტველთა უპირატესობამ 4 ქულას მიაღწია. ფრანგებმა მდგომარეობის გამოსწორება ველარ მოახერხეს. ლიტველთა შემადგენლობაში საუკეთესო გამთამაშებელი იასიკიავიჩუსი იყო. ყველაზე შედეგიანი კი შტომბერგასი (22 ქულა, 5 მოხსნა). პარკერმა გუნდს 24 ქულა შესძინა. ამ გამარჯვებით ლიტვის ნაკრებმა ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა.

**ესპანეთი - იტალია 81:79**

იტალიის ნაკრებმა, მიუხედავად იმისა, რომ ფანტასტიკური ნახევარფინალი ჩაატარა და საიმედოდ ამოკეტა ესპანელთა ლიდერი პაუ გაზოლი, ფინალის საგზური მაინც მონჩო ლოპესის გუნდს დაუთმო. მატჩის დებიუტში იტალიის ნაკრებმა ესპანელები საფირმო დაცვის მარწუხებში მოაქცია და - 17:10 დაწინაურდა. თანაც, ესპანელთაგან ქულებს მხოლოდ გაზოლი აგროვებდა (10-დან 8 ქულა მის ანგარიშზეა). ტაიმ-აუტის შემდეგ ესპანელებმა შთამბეჭდავი სპურტი განახორციელეს - 10:2 და პირველი მეოთხედიც თავის სასარგებლოდ დაასრულეს. მეორე მეოთხედში იტალიელთა დრო დადგა. ხისტმა დაცვამ კარლო რეკალკატის შეგირდებს დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა - 25:18. საერთო ანგარიშით - 44:38 იტალიელთა სასარგებლოდ. პაუ გაზოლიმ გუნდს მხოლოდ 2 ქულა შესძინა.

დიდი შესვენების შემდეგ ესპანელებმა დაიწყეს ნელი, მაგრამ შთამბეჭდავი სვლა გამარჯვებისკენ. ნეიტრალიზებული პაუ გაზოლის ნაცვლად, რომელმაც მესამე მეოთხედში ვერც ერთი ქულა ვერ აიღო, ლიდერის ფუნქცია მცველმა ხუან კარლოს ნავარომ იკისრა. მან ზედიზედ ორჯერ ჩააგდო ბურთი და, ამასთან, მეტოქე აიძულა, დაჯარიმებულიყო. ესპანელები დაწინაურდნენ - 55:53. თუმცა, არც იტალიელები აძლევდნენ მეტოქეს სამ ქულაზე მეტად დაწინაურების საშუალებას.

ასე გრძელდებოდა მატჩის ბოლო წუთამდე. აქ კი ნავაროს ჯერი დადგა. მან ორჯერ განახორციელა იტალიელთა ფარქვეშ სოლორეიდი. შემდეგ ორი საჯარიმო ტყორცნაც ზუსტად შესრულა და მატჩის დამთავრებამდე 1.11 წუთით ადრე ესპანელები - 80:74 დაწინაურდნენ. ესპანელთა გააქტიურებას მეტოქემ ზუსტი ორქულიანით უპასუხა. საპასუხო შეტევისას მარკონატო გაზოლისთან ორთაბრძოლაში დაჯარიმდა და გაზოლიმ ერთი ჯარიმა ზუსტად ჩააგდო. 47.3 წამით ადრე ბულერის სამქულიანმა იტალიელებს იმედი დაუბრუნა - 81:79, მაგრამ მათი უკანასკნელი შეტევა უზუსტო ტყორცნით დასრულდა და ესპანეთის ნაკრები ფინალში გავიდა. ყველაზე შედეგიანი ესპანელთაგან ნავარო (23) იყო, იტალიელთაგან კი - ბულერი (24).

## ფორმულა 1

# შუმახერისა და Ferrari-ს 50-ე ერთობლივი გამარჯვება

გუშინდელ გრან-პრიში მოპოვებული გამარჯვება მიხაელ შუმახერისთვის საიუბილეო აღმოჩნდა. ეს იყო რიგით 50-ე გამარჯვება, რომელსაც შუმახერმა Ferrari-სთან ერთად მიაღწია. მონცას Aotodromo Nazionale-ზე Ferrari-მ ტრიუმფი იზეიმა: შუმახერმა პირველი ადგილი დაიკავა, მისმა თანაგუნდელმა ბარიკელომ კი - მესამე. მეორე ადგილი კოლუმბიელმა მონტოიამ მოიპოვა. საერთო ჩათვლაში მესამე პოზიციაზე მყოფი კიმი რაიკონენი მეოთხე ადგილს დასჯერდა.

რბოლის შემდეგ ლიდერები იმავე თანმიმდევრობით დალაგდნენ, როგორითაც სტარტზე იყვნენ განაწილებული. შუმახერმა, მონტოიამ, ბარიკელომ და რაიკონენმა, შესაბამისად, 1-4 პოზიციებიდან დაიწყეს რბოლა. ტვინის შერყევის გამო მონცას გრან-პრიში მონაწილეობა ვერ მიიღო რალფ შუმახერმა, რომელიც BMW-Williams-მა მარკ ჟენეთი შეცვალა. ჟენე მეხუთე პოზიციიდან შეუდგა რბოლას, თუმცა, საბოლოოდ მე-16 ადგილზე ამოყო თავი.

წლევანდელი ჩემპიონატის დასრულებამდე ორი გრან-პრი დარჩა. ინდიანაპოლისისა და სუძუკას რბოლების წინ მიხაელ შუმახერი საერთო ჩათვლის სათავეშია (82 ქულით) და უახლოეს მდევარ მონტოიას 3 ქულით უსწრებს.

შუმახერი საიუბილეო გამარჯვებას აღნიშნავს.

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 1:14:19,838 | |
| 2. ხუან პაბლო მონტოია | + 5,294 | |
| 3. რუბენს ბარიკელო | + 11,835 | |
| 4. კიმი რაიკონენი | + 12,834 | |
| 5. მარკ ჟენე | + 27,891 | |
| 6. ჟაკ ვილნევი | + 1 წრე | |
| 7. მარკ ვებერი | + 1 წრე | |
| 8. ფერნანდო ალონსო | + 1 წრე | |
| 9. ნიკ ჰაიდფელდი | + 1 წრე | |
| 10. ჯანკარლო ფიზიკელა | + 1 წრე | |
| 11. ზოლტ ბაუმგარტნერი | + 2 წრე | |
| 12. ნიკოლას კისა | + 2 წრე | |
| 13. ჰაინც ჰ. ფრენტცენი | + 3 წრე | |
| 14. დევიდ კულჰარდი | + 8 წრე | |
| ოლივიე პანი | | (დეფექტი 37-ე წრეზე) |
| იოს ვერსტაპენი | | (დეფექტი 36-ე წრეზე) |
| ჯენსონ ბატონი | | (დეფექტი 34-ე წრეზე) |
| ჯასტინ უილსონი | | (დეფექტი მე-6 წრეზე) |
| კრისტიანო და მატა | | (დეფექტი მე-4 წრეზე) |
| იარნო ტრული | | (დეფექტი პირველ წრეზე) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 82 ქ. |
| 2. ხუან პაბლო მონტოია | 79 |
| 3. კიმი რაიკონენი | 75 |
| 4. რალფ შუმახერი | 58 |
| 5. რუბენს ბარიკელო | 55 |
| ფერნანდო ალონსო | 55 |
| 7. დევიდ კულჰარდი | 45 |
| 8. იარნო ტრული | 24 |
| 9. მარკ ვებერი | 17 |
| 10. ჯენსონ ბატონი | 12 |
| 11. ჯანკარლო ფიზიკელა | 0 |
| 12. კრისტიანო და მატა | 8 |
| 13. ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი 7 | |
| 14-15. ჟაკ ვილნევი | 6 |
| 14-15. ოლივიე პანი | 6 |
| 16. მარკ ჟენე | 4 |
| 17. ნიკ ჰაიდფელდი | 2 |
| 18. რალფ ფირმანი | 1 |

**კონსტრუქტორთა დავა**

| | |
|---|---|
| 1. BMW-Williams | 141 |
| 2. Ferrari | 137 |
| 3. McLaren-Mercedes | 120 |
| 4. Renault | 79 |
| 5. BAR-Honda 18 | |
| 6. Jaguar | 17 |
| 7. Toyota | 14 |
| 8. Jordan-Ford | 11 |
| 9. Sauber-Petronas | 9 |
| 10. Minardi | 0 |

საქართველოს ეროვნული ბანკის
**შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე**

სახაზინო ვალდებულებები 3,000,000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 4 თებერვალს, გამოტანილ იქნება №37 აუქციონზე, რომელიც შედგება 2003 წლის 17 სექტემბერს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2003 წლის 17 სექტემბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განვითარების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმები მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან კომერციულ ბანკში

*აუქციონის კომიტეტი*

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223. ტელ: 32 97 83

# "საოჯახო ტოტო"-ს 13 სექტემბრის №25 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
|000002|2,5|
|000042|5,0|
|000046|1,5|
|000059|2,0|
|000108|1,0|
|000109|1,5|
|000140|2,0|
|000164|2,5|
|000178|7,0|
|000186|3,5|
|000187|1,5|
|000212|15,0|
|000228|2,5|
|000230|5,0|
|000246|1,5|
|000249|1,0|
|000263|2,0|
|000286|1,5|
|000293|1,0|
|000312|50,0|
|000315|1,5|
|000334|1,0|
|000412|6,0|
|000414|2,5|
|000464|2,5|
|000475|2,0|
|000483|4,0|
|000496|1,5|
|000502|2,0|
|000528|1,5|
|000562|1,0|
|000567|1,0|
|000582|1,0|
|000616|3,0|
|000621|2,0|
|000634|1,5|
|000649|1,0|
|000671|1,5|
|000724|1,5|
|000768|1,5|
|000773|3,5|
|000791|1,5|
|000797|2,0|
|000798|8,0|
|000800|2,0|
|000805|1,0|
|000812|1,5|
|000818|2,0|
|000859|3,5|
|000868|2,0|
|000870|1,5|
|000908|2,0|
|000909|3,0|
|000947|2,0|
|000968|2,5|
|001002|2,0|
|001019|1,5|
|001023|40,0|
|001030|3,5|
|001051|1,0|
|001055|1,5|
|001078|2,0|
|001090|1,0|
|001094|2,0|
|001099|3,5|
|001100|1,5|
|001122|7,0|
|001135|4,5|
|001142|3,0|
|001159|50,0|
|001192|2,0|
|001566|1,0|
|001568|1,0|
|001585|5,0|
|001605|1,5|
|001625|2,5|
|001659|4,0|
|001696|7,0|
|001723|9,0|
|001725|4,0|
|001755|2,5|
|001760|4,5|
|001769|1,5|
|001772|1,5|
|001780|1,5|
|001782|1,5|
|001785|1,5|
|001786|1,0|
|001806|2,0|
|001808|5,0|
|001814|1,0|
|001822|2,0|
|001826|1,0|
|001837|4,5|
|001855|1,5|
|001857|4,0|
|001900|1,5|
|001906|1,5|
|001951|1,5|
|001960|1,5|
|001963|2,0|
|001967|1,5|
|001996|2,5|
|002011|1,0|
|002033|2,5|
|002050|4,5|
|002070|1,0|
|002079|4,5|
|002090|1,0|
|002117|1,5|
|002121|1,5|
|002123|1,5|
|002138|2,0|
|002177|6,0|
|002232|2,0|
|002247|1,5|
|002271|2,5|
|002274|1,0|
|002276|1,0|
|002284|2,0|
|002296|1,5|
|002304|6,0|
|002307|1,5|
|002312|2,0|
|002319|1,0|
|002366|1,0|
|002380|2,5|
|002393|1,5|
|002406|2,5|
|002425|3,0|
|002426|1,5|
|002427|1,0|
|002429|1,5|
|002431|3,5|
|002441|3,0|
|002455|2,5|
|002460|1,5|
|002462|3,0|
|002469|2,0|
|002470|1,0|
|002477|1,5|
|002485|6,0|
|003514|2,0|
|003533|2,5|
|003545|2,0|
|003573|1,5|
|003579|1,5|
|003580|1,5|
|003592|8,0|
|003688|1,0|
|003702|1,5|
|003706|4,5|
|003708|1,0|
|003714|1,0|
|003716|1,5|
|003722|2,0|
|003724|30,0|
|003725|1,0|
|003739|9,0|
|003742|2,0|
|003747|1,0|
|003768|1,5|
|003772|1,5|
|003786|6,0|
|003797|6,0|
|003813|2,0|
|003844|2,5|
|003848|1,5|
|003855|1,0|
|003865|2,5|
|003871|2,0|
|003876|1,0|
|003879|2,0|
|003884|3,0|
|003938|1,5|
|003954|2,0|
|003955|2,0|
|003970|1,5|
|003971|2,0|
|003986|1,0|
|003988|2,5|
|003989|1,5|
|003997|1,5|
|004006|1,5|
|004021|1,5|
|004025|3,5|
|004030|1,5|
|004042|10,0|
|004070|1,0|
|004071|1,0|
|004075|1,0|
|004090|2,0|
|004096|12,5|
|004122|2,0|
|004170|1,5|
|004183|1,5|
|004200|8,0|
|004206|3,5|
|004212|1,0|
|004214|3,0|
|004225|1,5|
|004229|1,0|
|004232|3,0|
|004237|1,0|
|004243|1,0|
|004254|4,5|
|004259|50,0|
|004260|1,0|
|004279|3,0|
|004329|1,0|
|004330|1,0|
|004338|9,0|
|004351|2,0|

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
|004376|1,0|
|004387|1,5|
|004400|2,5|
|004410|1,0|
|004418|1,5|
|004436|1,5|
|004438|1,0|
|004449|1,5|
|004463|4,5|
|004494|1,0|
|004509|3,0|
|004526|2,0|
|004558|1,0|
|004560|1,5|
|004566|5,0|
|004580|3,0|
|004581|10,0|
|004584|3,0|
|004585|1,5|
|004593|4,5|
|004611|2,0|
|004613|1,5|
|004679|3,0|
|004690|2,5|
|004711|2,0|
|004741|1,0|
|004759|3,5|
|004765|1,0|
|004770|20,0|
|004806|1,5|
|004838|1,5|
|004843|1,5|
|004849|1,5|
|004871|1,5|
|004897|1,5|
|004908|1,0|
|004940|3,5|
|004950|1,5|
|004969|1,0|
|004993|1,5|
|004999|2,0|
|005004|1,5|
|005025|1,5|
|005028|2,0|
|005046|1,5|
|005069|1,0|
|005073|1,0|
|005075|2,0|
|005088|1,5|
|005091|1,5|
|005096|2,5|
|005101|9,0|
|005120|2,0|
|005146|1,5|
|005152|3,5|
|005168|1,5|
|005196|2,0|
|005222|2,0|
|005223|1,5|
|005268|1,0|
|005276|1,5|
|005280|2,0|
|005300|4,0|
|005324|2,0|
|005325|2,0|
|005337|1,5|
|005344|1,5|
|005346|3,0|
|005375|1,0|
|005393|4,0|
|005401|1,0|
|005427|1,5|
|005434|1,5|
|005464|1,5|
|005473|2,0|
|005479|3,0|
|005493|1,0|
|005507|2,0|
|005511|1,5|
|005517|1,0|
|005527|2,5|
|005545|5,0|
|005560|2,5|
|005571|1,5|
|005591|1,5|
|005603|1,0|
|005645|1,5|
|005683|1,5|
|005694|1,5|
|005696|1,0|
|005725|1,5|
|005745|1,5|
|005768|1,5|
|005769|1,0|
|005778|1,0|
|005793|3,0|
|005812|1,5|
|005841|1,0|
|005852|3,5|
|005855|4,5|
|005870|7,0|
|005885|1,5|
|005911|2,0|
|005926|1,5|
|005935|6,0|
|005953|2,0|
|005963|1,5|
|005970|1,5|
|005977|2,0|
|005983|2,0|
|005989|1,5|
|006014|4,0|
|006043|1,0|
|006125|1,0|
|006131|9,0|
|006135|2,0|
|006139|1,0|
|006161|1,5|
|006166|1,5|
|006170|3,5|
|006176|1,0|
|006198|1,5|
|006241|10,0|
|006243|1,5|
|006250|2,0|
|006251|1,5|
|006267|1,5|
|006269|5,0|
|006272|1,0|
|006280|1,5|
|006292|3,0|
|006401|2,0|
|006412|2,0|
|006440|3,0|
|006465|3,0|
|006517|7,0|
|006548|1,5|
|006567|3,5|
|006577|3,0|
|006595|1,0|
|006601|2,0|
|006617|2,5|
|006620|2,0|
|006623|4,0|
|006662|1,5|
|006669|2,5|
|006675|1,5|
|006684|1,0|
|006715|1,0|
|006724|1,5|
|006763|3,5|
|006768|1,0|
|006772|2,0|
|006788|2,0|
|006792|1,0|
|007315|1,5|
|007326|1,0|
|007333|2,0|
|007374|1,5|
|007381|1,0|
|007383|1,5|
|007400|2,5|
|007412|1,0|
|007432|2,0|
|007449|1,5|
|007456|2,0|
|007473|1,5|
|007479|1,5|
|007482|1,0|
|007491|2,0|
|007495|1,0|
|007503|1,5|
|007515|1,5|
|007544|2,0|
|007551|2,5|
|007552|2,0|
|007559|1,5|
|007567|4,5|
|007573|6,0|
|007576|2,0|
|007604|1,5|
|007626|2,5|
|007630|2,5|
|007673|3,5|
|007685|2,0|
|007723|2,0|
|007737|1,5|
|007743|2,5|
|007744|1,0|
|007771|4,0|
|007788|2,0|
|007801|1,5|
|007804|1,5|
|007809|1,5|
|007816|8,0|
|007826|1,0|
|007834|1,0|
|007860|3,0|
|007904|1,5|
|007923|2,0|
|007929|2,0|
|007938|3,0|
|007953|2,5|
|007959|4,5|
|007977|1,0|
|007986|1,0|
|007987|3,0|
|007992|1,0|
|007994|2,5|
|008052|5,0|
|008074|1,5|
|008086|1,5|
|008107|10,0|

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
|008114|6,0|
|008145|3,5|
|008185|1,5|
|008213|2,0|
|008225|1,5|
|008228|1,5|
|008239|1,5|
|008254|2,0|
|008263|1,0|
|008277|1,5|
|008288|2,0|
|008289|1,0|
|008328|6,0|
|008354|1,0|
|008367|4,5|
|008401|1,5|
|008446|1,5|
|008463|1,0|
|008489|2,0|
|008507|1,0|
|008510|3,5|
|008515|6,0|
|008518|1,5|
|008525|1,5|
|008536|1,5|
|008545|1,0|
|008552|1,5|
|008555|2,0|
|008598|1,5|
|008602|1,0|
|008608|10,0|
|008617|2,0|
|008618|1,0|
|008650|2,0|
|008652|6,0|
|008654|1,0|
|008658|1,0|
|008664|2,0|
|008670|1,0|
|008685|4,5|
|008708|9,0|
|008719|1,0|
|008728|2,5|
|008749|2,0|
|008757|1,5|
|008775|1,5|
|008784|1,5|
|008801|6,0|
|008818|6,0|
|008839|2,0|
|008844|1,0|
|008931|1,0|
|008939|8,0|
|008978|1,5|
|009013|3,0|
|009066|1,5|
|009078|2,0|
|009109|2,5|
|009138|600,0|
|009143|3,5|
|009161|4,0|
|009168|1,0|
|009175|2,0|
|009195|6,0|
|009235|6,0|
|009237|1,5|
|009245|1,5|
|009254|5,0|
|009260|1,0|
|009294|2,0|
|009299|1,0|
|009302|4,5|
|009308|1,0|
|009319|2,5|
|009324|1,5|
|009351|2,0|
|009377|8,0|
|009380|8,0|
|009424|5,0|
|009439|25,0|
|009487|1,0|
|009556|1,5|
|009586|1,5|
|009611|2,0|
|009615|2,0|
|009625|2,0|
|009637|1,5|
|009651|1,0|
|009692|6,0|
|009705|2,0|
|009719|6,0|
|009720|1,0|
|009753|1,5|
|009754|1,0|
|009774|2,0|
|009803|5,0|
|009808|1,0|
|009824|2,0|
|009852|2,5|
|009860|1,0|
|009882|3,5|
|009893|2,0|
|009918|6,0|
|009932|1,0|
|009984|1,5|
|009986|1,0|
|009988|2,5|
|009989|1,5|
|010000|1,0|
|010006|1,5|
|010023|3,0|
|010060|1,5|
|010071|1,0|
|010081|1,0|
|010083|1,5|
|010097|4,0|
|010121|1,5|
|010127|7,0|
|010129|8,0|
|010138|1,0|
|010146|1,5|
|010151|2,5|
|010157|1,5|
|010163|5,0|
|010166|1,5|
|010201|4,5|
|010203|2,0|
|010222|1,5|
|010235|1,5|
|010243|1,0|
|010273|1,5|
|010288|2,0|
|010301|1,5|
|010309|1,5|
|010358|2,0|
|010365|2,0|
|010368|1,0|
|010377|6,0|
|010378|2,0|
|010388|2,5|
|010437|2,5|
|010456|1,5|
|010461|5,0|
|010464|1,0|
|010466|1,0|
|010469|2,0|
|010473|1,0|
|010494|2,5|
|010506|3,0|
|010508|1,0|
